ჯემალ გერსამია: ,,საქართველომ უნდა გამოიყენოს თავისი პოტენციალი,,

ახალი ნავსადგური ფოთში მითი თუ რეალობა?

გვ. 2

აიპების ანგარიში საზოგადოებას

გვ. 2


მთავარი თემა სამეგრელოში

ფასი 1 ლარი №19 9 - 14 ივლისი 2018 წელი\ გამოდის სამშაბათობით


# თენგიზ ხუხია: ,,სიძნელეების არ გვეშინია,,

გვ. 3

# პარკირების ხელშეკრულების შეწყვეტის მიუხედავად გადასახადი მაინც იკრიფება

გვ. 3

# გიორგი ფარეშიშვილი: ,,ჩემში ყოველ წამს სიყვარულია,,

გვ. 5


შენ ჯერ ეგ არ გინახავს




აქ გვიპოვი ჩვენ

www.msnews.ge


# გაუქმდება თუ არა საბაჟო სპეციალობა კოლეჯ ,,ფაზისში,,



ივეტა პაჭკორია

სენაკი

რამდენიმე დღის წინ სოციალური სივრცე დაიპყრო სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ფაზისი”-ის საბაჟო წარმომადგენლის სპეციალობის პედაგოგის ნინო კოკაიას ფეისბუქ სტასტუსებმა, რომელმაც კოლეჯში მომავალი სასწავლო წლიდან საბაჟო საქმის სავარაუდო შეჩერება გააპროტესტა და სოციალური სივრცის საშუალებით კითხვა დასვა „უნდა ისწავლებოდეს თუ არა ფოთში საბაჟო საქმე”. სტატუსს საზოგადოების მხრიდან საკმაოდ მწვავე გამოხმაურება მოყვა. ჩვენ გავესაუბრეთ ნინო კოკაიას და შევეცადეთ გაგვერკვია, რა მოხდა რეალურად და რატომ შეექმნა საფრთხე ისეთ მნიშვნელოვან პროფესიას,როგორიც საბაჟო საქმეა. მით უფრო, როდესაც ფოთის მდებარეობიდან გამომდინარე, აღნიშნული პროფესია საკმაოდ მოთხოვნადია. როგორც გაირკვა, მოდულურმა პროგრამამ „საბაჟო საქმე” ჯერ კიდევ 2017 წლის აგვისტოში გაიარა ოპტიმიზაცია და დამტკიცდა. კოკაია როგორც ამბობს: „მე და ლელა გეთია ვმონაწილეობდით მოდულური პროგრამის „ საბაჟო საქმის“ შემუშავებაში. 2017 წლის აგვისტოში ოპტიმიზაცია გაიარა და დამტკიცდა მოდულური პროგრამა „ საბაჟო საქმე“,კოლეჯის ხარისხის მენეჯერმა სექტემბერის თვეში გადმომიგზავნა განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამა, რომლის სასწრაფო ადაპტირება მომთხოვა პროგრამის შემდგომი ავტორიზაციის მიზნით, მიუხედავად სამთვიანი უფასო შვებულებისა, რომელიც სამწუხაროდ პროფესიულ განათლების სისტემაში უცხო არ არის, სასწრაფოდ შევუდექი

დასასრული 4-გვ.

# ფოთში ჭადრაკის საერთაშორისო ფესტივალი წარმატებით მიმდინარეობს

გვ. 7

# ელენე წოწონავამ ევროპის სასკოლო ჩემპიონატზე წარმატებით იასპარეზა

გვ. 7

გამომცემელი და დირექტორი,
მთავარი რედაქტორი
ინგა გვასალია -
599 341 417;
ინგაგვასალია
რედაქტორი
ივეტა პაჭკორია -
597 97 76 18

კორექტორი:
მაია ჩხეიძე
551 522 429-
კორესპონდენტები:

მარიამ ჯავახია -
579 24 11 22

თეკლა მატკავა
(ფოთი)
568 74 41 12

ივეტა პაჭკორია
(ხობი)
597 97 76 18

გამოქვეყნებული მასალის შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. სტატიის ავტორები თავად აგებენ პასუხს ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიო მასალები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები არ მიიღება.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია.

# ჯემალ გერსამია: „საქართველომ უნდა გამოიყენოს თავისი პოტენციალი„

## ახალი ნავსადგური ფოთში მითი თუ რეალობა?

**თეკლე მატკავა**
**ფოთი**

ჯემალ გერსამია წლებია იბრძვის და გული შეტკივა ფოთის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. კერძოდ, იგი მწვავედ განიცდის ფოთის პორტის გასხვისებისა და შემდგომ განვითარებულ მოვლენებს. იგი არაერთხელ, არაერთი სტატიით ეცადა ხალხისთვის, პოლიტელიტისთვის მიეწვდინა ხმა. დიდი ხანია ითხოვს, ფოთში აშენდეს ალტერნატიული პორტი, რომლის მთლიანი შემოსავალი დარჩება ქალაქს და მოხმარდება მის განვითარებას. რამდენად პერსპექტიული და რენტაბელურია მეორე პორტი პატარა ქალაქში იმ ფონზე, როდესაც ანაკლიის პორტის მშენებლობაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას და იმის ფონზე, როდესაც ეკონომიკის სამინისტროს ოფიციალური მონაცემებით 2016 წლის პირველ კვარტალში და 2015 მეოთხე კვარტალთან შედარებით, პორტებში ტვირთის გადამუშავება 0,7 პროცენტით შემცირდა. ფოთის პორტმა 2015 წელს 8,6 მილიონი ტონა ტვირთი თუ გადაზიდა, 2016 წელს ეს მაჩვენებელი 6,8 ტონამდე, ხოლო ბათუმის პორტში 6,3 მილიონი ტონიდან, 5,7 ტონამდე დაეცა. ამ მონაცემების მერე ცოტა ნიჰილისტურადაა საზოგადოება განწყობილი ამ პროექტის მიმართ.

ჯემალ გერსამია მიმართავს საქართველოს მთავრობას და სთავაზობს მას, გამოყენებულ იქნას ის გეოსტრატეგიული, გეოპოლიტიკური საშუალებები, რაც გააჩნია საქართველოს: „ეს არის ახალი, ღრმა წყლიანი ნავსადგურის, კასპიისა და შავი ზღვის შემაერთებელი არხის მშენებლობა, რომელიც გახდება ბაზა გაზრდილი სავაჭრო ბრუნვისა შუა აზიის ქვეყნების, ევროპისა და საქართველოს ნაციონალური ინტერესებიც იქნება გათვალისწინებული. ახალი მთავრობა და ახალი პრემიერ მინისტრი, რომელიც სატრანზიტო ურთიერთობების სისტემების სპეციალისტი გახლავთ, მჯერა, შეძლებენ სათანადო მომზადების შემთხვევაში, დაიწყონ ამ პროექტზე მუშაობა, რომელიც ქვეყანაში მრავალ ათასიან სამუშაო ადგილს შექმნის და გააძლიერებს ქვეყნის ეკონომიკას“- ამბობს გერსამია, რომელსაც პორტში საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობის საკმაო გამოცდილება გააჩნია.

გერსამია თავის მიმართვაში ასევე საუბრობს ფოთის პრიორიტეტულ მდგომარეობაზე. უცვლელად გთავაზობთ მის მიმართვას. „ ჩვენ ვთავაზობთ ახალ ხელისუფლებას ერთადერთ საშუალებას ამ მძიმე სიტუაციიდან ქვეყნის გამოსაყვანად. ჩვენმა ქვეყანამ მსოფლიო საზღვაო ქვეყნის ადგილი რომ დაიმკვიდროს, აუცილებელია, სრულფასოვნად გამოყენებულ იქნას ის გეოგრაფიული, გეოპოლიტიკური მდგომარეობა, რაც ღმერთმა მიანიჭა საქართველოს, ჩვენს ქალაქს, როგორც საკვანძო ადგილი დიდი აბრეშუმის გზისა. ამ გზის შესახებ ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდიდან გვაქვს ცნობები. ასაშენებელია ახალი ალტერნატიული ნავსადგური. კასპიის და შავი ზღვის შემაერთებელი კორიდორი გახლავთ არხი ფაზისი და ღრმად მწამს, რომ ამ არხთან ახლოს მყოფი ქვეყნები სიამოვნებით ჩაერთვებიან ამ იდეის განხორციელებაში, რაც ამ ქვეყნებსაც მოუტანს შემოსავალს. ჩვენს პროექტს გააჩნია შორს მიმავალი გეოპოლიტიკური და ეკონომიკური მიზნები, რაც გულისხმობს ვაჭრობის და საზღვაო ტრანზიტს ევრაზიაში, ასევე ახალ ენერგეტიკულ პროექტებს, აგრეთვე საშულება ექნებათ შუა აზიის ქვეყნებს ზღვაზე გასასვლელად, რაც საშუალებას მისცემს ამ რეგიონს განვითარების მანამდე არნახულ დონეს მიაღწიოს. არხი ფაზისი გახდება მძლავრი TRACECA - ს კონკურენტი, სხვა შემთხვევაში ეს ქვეყნები დაიწყებენ ალტერნატიული გზების ძიებას ზღვაზე გასასვლელად“.



გერსამია იმასაც გვეუბნება, რა უნდა გააკეთოს მთავრობამ ამ მიზნის მისაღწევად: “ მოგახსენებთ, მთავარი პირობა არის ის, რომ საქართველომ გამოაცხადოს ნეიტრალიტეტი, ანუ თავი ნეიტრალურ მხარედ. ეს პირობა გახლავთ საკმარისი იმისათვის, რომ აზიასა და ევროპას შორის დაიწყოს მძლავრი, კოლოსარული სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობები. გასაგებია ერთი რამ, საკვანძო ადგილი ამ დიდ პროექტში იქნება საქართველო და ქალაქი ფოთი, სხვა დამოუკიდებელი სატრანზიტო მარშრუტი, რომელიც სამხრეთ კავკასიაში გადის, ბუნებაში არ არსებობს. ეკონომისტებმა უნდა გააანალიზონ ყარსი-ახალქალაქის მარშრუტის რენტაბელურობა საქართველოსთვის, რომელიც წამგებიანია ჩვენი ქვეყნისათვის. ძირითად მოგებას ყარსი-ახალქალაქის პროექტიდან მხოლოდ თურქეთი მიიღებს. დღესდღეისობით საქართველოს სატრანზიტო პოტენციალი მცირდება და თუ არ იქნა მიღებული გადამწყვეტი ზომები, მისი პოტენციალი კიდევ უფრო დასუსტდება და საქართველო თურქეთის ტრანზიტის ინტერესებს დაექვემდებარება. ჩვენი ქვეყანა იქნება სატრანზიტო ქვეყანა აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის და არა სატრანზიტო ქვეყანა ევროპასა და აზიისა”.

როგორც გერსამია ჩვენთან საუბრისას ამბობს მის მიმართვაზე ჯერჯერობით ხელისუფლებისგან არანაირი პასუხი არ მიუღია.

# აიპების ანგარიში საზოგადოებას

**თეკლე მატკავა**
**ფოთი**

ადგილობრივი ხელისუფლების წინაშე ა(ა)იპების წარმომადგენლები 2018 წლის 6 თვის გაწეული მუშაობის ანგარიშით წარდგნენ. მათ ისაუბრეს 6 თვის განმავლობაში ჩატარებულ ღონისძიებებზე და მიღწეულ წარმატებებზე. შეკრებაზე არამარტო აიპების ხელმძღვანელებმა, არამედ მერის მოადგილეებმაც წარადგინეს შეკრებილი საზოგადოების წინაშე მუშაობის შემაჯამებელი ანგარიში.

სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების დირექტორმა მარგო ჯანიაშვილმა თავის ანგარიშში ყურადღება გაამახვილა იმ განხორციელებულ პროექტებზე, რაც მოიცავს კვების ღირებულების ზრდას –განისაზღვრა ერთ ბავშვზე 2 ლარით. ისაუბრა მოწესრიგებულ სანიტარულ მდგომარეობაზე და აღნიშნა, რომ დიდი პასუხისმგებლობით კონტროლდება საბავშვო ბაღში შემოტანილი პროდუქტის ხარისხი და რაოდენობა, ასევე რეგულარულად მიმდინარეობს საკვების მომზადების ტექნოლოგიაზე დაკვირვება.

ჯანიაშვილმა თავის მოხსენებაში ხაზი გაუსვა პედაგოგთა პროფკავშირის ჩართულობასა და აქტიურობას რიგი პრობლემების მოგვარების საკითხებში, ასევე ისაუბრა პროფკავშირის ინიციატივაზე, კერძოდ აღმზრდელების, ძიძებისა და მზარეულების გადამზადების საკითხზე, რომლის განხორციელება იგეგმება სექტემბრის თვეში. ასევე ისაუბრა გაზრდილ ბიუჯეტზე - 2017 წლის მდგომარეობით იყო 1 170 000, 00, 2018 წელს კი განისაზღვრა 2 530 000, 00 ლარით. 2018 წელს ექსპლუატაციაში შევიდა დევნილთა დასახლებაში №2 სკ/ დაწესებულება, სადაც ირიცხება 75 აღსაზრდელი და დასაქმებულია 16 თანამშრომელი, სამი ასაკობრივი ჯგუფით. ანგარიშის დასასრულს ჯანიაშვილმა აქცენტი გააკეთა 2018 წლის მნიშვნელობაზე სააღმზრდელო დაწესებულებებისთვის: „ამდენად, მიმდინარე ეტაპზე უდიდესი პასუხისმგებლობის წინაშე დგანან სკოლამდელი დაწესებულების მუშაკები. უახლოეს პერიოდში დაიწყება სკოლამდელ დაწესებულებათა ავტორიზაცია, რომლის პირობები ეფუძნება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ კანონსა და ინფრასტრუქტურის, შენობა-ნაგებობის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწყობა, ადრეული ასაკის განათლების და განვითარების რეგლამენტს, აღმზრდელ პედაგოგისა და აღმზრდელის პროფესიულ სტანდარტებს, ვინაიდან ეროვნული სტრატეგიისა და სტანდარტების მოთხოვნებიდან გამომდინარე, ადრეული და სკოლამდელი განათლების მიმართ არსებული ხედვის რეალობაში განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ სკ/ განათლების მომსახურების მაღალ დონეზე რეგულირებული მეთოდებით და სტანდარტებით“.




„სახელოვნებო ცენტრის მიზანია ფოთში კულტურული დარგის წინაშე არსებული პრობლემებისა და გამოწვევების გადაჭრა, კულტურულ სფეროში ახალი ინოვაციების დანერგვა, არსებული შემოქმედებითი ჯგუფების განვითარება, ქალაქში განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული ბავშვების აღმოჩენა, ახალი კრეატიული რესურსის შექმნა, ქალაქში კულტურული პოტენციალის გაზრდა, საზოგადოების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში, ადგილობრივი კულტურული შემოქმედებითი რესურსის პოპულარიზაცია საზღვრებს გარეთ. ასევე, უცხოეთში საგასტროლო საქმიანობის ხელშეწყობა. ზემოთ აღნიშნული კი ხელს შეუწობს ქალაქში არსებული მოზარდების დაინტერესებას, მათ მოზიდვას, ცენტრში მოსწავლეთა კონტინგენტის ზრდას, რაც ცენტრისთვის სამომავლოდ წარმატებული საქმიანობის გარანტი იქნება“ - განაცხადა სახელოვნებო ცენტრის დირექტორმა ნინო პაჭკორიამ თავის ანგარიშში, როცა 6 თვიანი მუშაობის შესახებ საუბრობდა. მან იმ გამოწვევებსა და საკითხებზე ისაუბრა, რაც ქალაქის კულტურული ცხოვრების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, სახელოვნებო ცენტრის ბიუჯეტი გასულ წელთან შედარებით შემცირდა, თუ 2017 წელს შეადგენდა 530 200 ლარს, აღნიშნულ ბიუჯეტში თანამშრომლების ხელფასებთან ერთად გათვალისწინებული იყო სხვადასხვა ხარჯებიც. მიმდინარე წელს კი სახელოვნებო ცენტრის ბიუჯეტი შეადგენს 459. 400 ლარს, რაც 70.800 ლარით ნაკლებია 2017 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტზე. მიმდინარე 2018 წლის ბიუჯეტი მხოლოდ სახელფასო ფონდს აკმაყოფილებს, რაც შეეხება სხვა ხარჯებს, 2018 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული არ არის. თანხის არ არსებობის გამო, სახელოვნებო ცენტრში შემავალი ხუთივე სტრუქტურული ერთეულის ხარჯების დაფარვა საკუთარი შემოსავლებით ხდება. 2017 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისის ჩათვლით ცენტრის საკუთარი შემოსავალი შეადგენდა 44.205 ლარს, ხოლო 2018 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისის ჩათვლით, ცენტრის საკუთარი შემოსავალი შეადგენს 70.770 ლარს, რაც გულისხმობს იმას, რომ 2018 წლის 6

დასასრული 5-გვ.

# თენგიზ ხუხია: ,,სიძნელეების არ გვეშინია,,

**თეკლე მატკავა**
**ფოთი**

რა არის თეატრი? სცენა? დიდ ილიას დავესესხები -,,დიდი რამ არის ჩვენისთანა დაცემული ხალხისთვის. მაგის მეტი ნაციონალობის ნიშანწყალი ჯერჯერობით ჩვენ არა გვაქვს, რა საცა ჩვენი ენა საჯაროდ ისმის და საჯაროდ მოქმედებს“. ესაა ადგილი, სადაც ხდება ყველაფერზე, ყველა მნიშვნელოვანზე საუბარი. თუკი მაყურებლის სათქმელს ამბობს თეატრი, ის წარმატებულია და ამ თეატრს ექნება სიყვარული.

ეს შესავალი ჩვენი კვირის ინტერვიუს სტუმრის წარსადგენად დაგვჭირდა. იგი ფოთის თეატრის ხელმძღვანელი თენგიზ ხუხია გახლავთ, რომელიც 25 წლის ასაკიდან სათავეში უდგას ფოთის თეატრს და მასთან ერთად განვლო ყველა ის გამოწვევა, რამაც დღემდე მოიყვანა ქვეყანაში ერთ-ერთი წარმატებული თეატრი, წარმატებული დასით.

- რა მდგომარეობაა ამ ეტაპზე შექმნილი თეატრში. გამოცხადებული ტენდერები ჩაიშალა, რადგან არ გამოჩნდა კომპანია, რომელიც შეასრულებს თეატრის სარეაბილიტაციო სამუშაოებს. რა გახდა ამის მიზეზი?

-მას შემდეგ, რაც ფოიეში ჩამოვარდა ჭერი, კულტურის სამინისტროსთან და ადგილობრივ მმართველობასთან კომუნიკაციის შემდეგ, თეატრმა სამუშაო პროცესის შეჩერება გადაწყვიტა, რადგან, მინიმუმ, ადამიანების უსაფრთხოება ყოფილიყო დაცული. შემდგომ სასწრაფო წესით გამოიყო თანხა ქალაქის ბიუჯეტიდან ექსპერტიზის ჩასატარებლად,რათა თეატრში შექმნილი მდგომარეობის პროფესიული შეფასება მომხდარიყო და შესაბამისად,ჩასატარებელი სამუშაოები გარკვეულიყო. არსებული ინფორმაციით, ორჯერ გამოცხადდა ტენდერი, რომელიც ჩაიშალა, რადგან ამ ტენდერში მონაწილეობის მსურველი არ გამოჩნდა. ტენდერის გამოცხადებამდე ვფიქრობდი, რომ იქნებოდა ბაზარი შესწავლილი და ერთი კონკრეტული ციფრი იყო დადებული, რაც მისაღები იქნებოდა ყველა ექსპერტისთვის ტენდერში მონაწილეობისათვის, მაგრამ რეალურად სურათი სხვაა – ტენდერში მონაწილეობის მსურველი კომპანიებისათვის, როგორც გავიგე, გამოყოფილი თანხა აღმოჩნდა არასაკმარისი. თუმცა, მე პირადად, სასაცილოდ მიმაჩნია ეს პასუხი და ძალიან არადამაჯერებლად ჟღერს. ვიმეორებ, მიმაჩნია, რომ ტენდერის გამოცხადებამდე ბაზარი უნდა შესწავლილიყო და მერე უნდა გამოეცხადებინათ ტენდერი. ახლა მეორედ გამოცხადდა ტენდერი და ვთქვი, რომ პირდაპირი წესით მოხდეს ხელშეკრულების გაფორმება სამხარაულის ექსპერტიზასთან, კანონი გვაძლევს ამის უფლებას. მით უმეტეს, ფორსმაჟორული სიტუაციაა. არ მინდა ვიფიქრო, რომ სხვა ინტერესებთანაა დაკავშირებული ეს საქმე. ველოდები და, სავარაუდოდ, უკვე ამ კვირის ბოლომდე იქნება პასუხი, როდის შემოვა ექსპერტიზა თეატრში. როგორც მითხრეს, მართლაც პირდაპირი წესით გაფორმდება ხელშეკრულება სამხარაულის ექსპტიზასთან. ამის შემდეგ გვეცოდინება, რა დრო და რამდენი თანხა იქნება საჭირო პრობლემების აღმოსაფხვრელად. საერთოდ, პარალიზებული იქნება ამ შენობაში სამუშაო პროცესი, სანამ ყველა კითხვას პასუხი არ გაეცემა ექსპერტის მიერ. ჩვენ აქ შეჩერებული გვაქვს სამუშაო პროცესი, მაგრამ რომ არ ამოვარდეს ფოთის თეატრი კალაპოტიდან, არ გავჩერებულვართ და რეალურად გადასულნი ვართ საგასტროლო გასვლებზე. გვქონდა ძალიან ბევრი გასვლითი შეხვედრა მაყურებელთან. თეატრში შექმნილი სიტუაციის მიუხედავად, გადავწყვიტეთ, რომ წელს ფესტივალს არ დაეტოვებინა ქალაქი,არ დაგვეკარგა იგი ვიღაცეების შეცდომების გამო. გვექნება სხვადასხვა ლოკაცია, რომელიც მუშავდება და საბოლოოდ ჩამოყალიბდება ამ დღეებში. მთავარი მოვლენები იქნება ფოთში.

- სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვით

- სექტემბერიდან გვაქვს მოწვევა რამდენიმე საერთაშორისო ფესტივალიდან - ლიტვა, კიშინოვი, მოლდოვა, პოლონეთი, ესტონეთი. კიშინოვში ჩაგვაქვს სამი სპექტაკლი, სადაც იქნება ფოთის თეატრის დღეები. საკმაოდ წარმომადგენლობითი გასტროლი იქნება და ძალიან საინტერესო ჩვენთვის,რადგან საინტერესოა იმ მაყურებელთა მხრიდან შეფასება, რომელიც არ გიცნობს. პოლონეთში ჩვენი თეატრი პირველად არ მიდის. მიუხედავად იმისა, ამჯერად სხვა ქალაქში და სხვა თეატრში მივდივართ, თუმცა ჩვენ მაინც ასე თუ ისე ვიცნობთ პოლონელ მაყურებელს. ვიცით პოლონელი მაყურებლის დამოკიდებულება, გემოვნება, რეაქცია.

-საინტერესოა, ასეთ ფორსმაჟორულ სიტუაციაში რეპეტიციებს სად გადის თეატრის დასი ?

-რეალურად, რეპეტიციების გარეშე თამაში რთულია. როდესაც მივდივართ გასტროლზე სხვადასხვა თეატრებში სათამაშოდ, ვცდილობთ, იქაური სივრცე გამოვიყენოთ რეპეტიციისთვის.

- თეატრალური ფესტივალი სავიზიტო ბარათად იქცა ჩვენი ქალაქისთვის. იყო საუბარი, რომ საერთოდ არ ჩატარდებოდა ეს ფესტივალი ფოთში

-გარწმუნებთ, რომ ეს ფესტივალი რჩება ქალაქში,იქნება სხვადასხვა ლოკაცია, მათ შორის ღია სივრცეში. სხვადასხვა თეატრების სხადასხვა სპექტაკლები იქნება. საბოლოოდ ყველა ინფორმაცია გვაქვს შეკრებილი და შესაბამისად, გვაქვს მონიშნული თემატურად საინტერესო ლოკაციები. ჩვენს სპექტაკლსაც ვთამაშობთ ძალიან უცნაურ სივრცეში,რომელსაც ჯერ ვერ გაგიმხელთ. ფესტივალის პირობებში,ქუთაისის დასი ითამაშებს ქუთაისში, ბათუმის მოზარდმაყურებელთა თეატრი და დრამატული თეატრი თავისთან, ურეკის კულტურის სახლსაც გამოვიყენებთ და მოწვეული სტუმრები ჩაგვყავს ამ ქალაქებში, ეს ტურიზმის განვითარებასაც შეუწყობს ხელს. ძალიან ბევრი რამის შეცვლა მოგვიწია. ასე რომ,ფესტივალი ჩატარდება აუცილებლად, ამდენი გაჭირვების მიუხედავად. თუმცა, ამაზე უარესი რამ გადაუტანია ფოთის თეატრს.

- წელს რამდენად დიდი იყო თეატრალურ ფესტივალზე მოხვედრის დაინტერესება სხვა ქვეყნების თეატრების მხრიდან?

-ჩვენ რამდენიმე სპექტაკლს და თეატრს ვუთხარით უარი,რადგან ყველა სპექტაკლი გათვლილი იყო დიდ სცენაზე ამ თეატრში და სხვა ალტერნატივას ფიზიკურად ვერ შევთავაზებდით. ამიტომ ძალიან საინტერესო სპექტაკლებისთვის უარის თქმამ მოგვიწია, თუმცა გამოხმაურება იმდენად დიდია,როდესაც გაიგეს, თეატრის შენობა ასეთ მდგომარეობაშია, პირიქით, უფრო მეტს მოუნდა მონაწილეობა. აინტერესებთ, როგორ მოხდა ახალი შენობის ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნა. რამდენიმე თეატრმა მოგვწერა კიდეც - ჩამოვალთ და ვნახავთ საკუთარი თვალით, თუ როგორ მოახერხა ვიღაცამ, ააშენა შენობა და მესამე წელიწადს ყვითელი ლენტი შემოავლესო. ძალიან გაუგებარია და ძნელად აღსაქმელი მათთვის ეს ფაქტი. იყო ასეთი შინაარსის გზავნილიც - თუ არ გნებავთ, რომ ჩამოვიდეთ და გაქვთ სხვა თეატრებზე აქცენტი, შეგიძლიათ პირდაპირ მოგვწეროთო. ისინი იყვნენ შარშან ფესტივალზე და ნახეს ახალი, შეთეთრებული თეატრი და დაუჯერებელია მათთვის დღევანდელი მდგომარეობა. ნებისმიერ სხვა ქვეყანაში, რომ მომხდარიყო ასეთი რამ, ალბათ გლოვის დღე გამოცხადდებოდა.



დასასრული 4-გვ.

# პარკირების ხელშეკრულების შეწყვეტის მიუხედავად გადასახადი მაინც იკრიფება

**ივეტა პაჭკორია**
**ფოთი**

ფოთის მერიასა და შპს „ფოთს” შორის დადებული ხელშეკრულება ქალაქის მერიამ ცალმხრივად გაწყვიტა. მიზეზად ფინანსური დავალიანება და ტექნიკური მხარის შეუსრულებლობა დასახელდა, რაც ითვალისწინებდა საპარკინგე ადგილების დახაზვას, ვიდეო კამერების დამონტაჟებას და სხვა სამუშაოებს. შესაბამისად, ფოთში პარკირების პრობლემა კვლავ მოუგვარებელი დარჩა.

მერიასა და შპს „ფოთს” შორის ხელშეკრულება 2015 წლის ნოემბერში გაფორმდა, დავალიანება კონტრაქტორ ფირმას მუშაობისთანავე დაედო. როგორც მერიაში განმარტავენ, ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო, ქალაქის პარკირებაზე მომუშავე შპს „ფოთი” რამდენჯერმე გააფრთხილეს, დაუწესდა ვადა დავალიანების გადასახდელად, თუმცა დავალიანება დღემდე გადაუხდელია. დღეის მდგომარეობით, შპს „ფოთის” დავალიანება მერიის წინაშე 30311 ლარს შეადგენს, დარიცხული საურავი კი 3 850 ლარს, სულ გადასახდელია 34 161 ლარი. როგორც მერიაში განმარტავენ, ბოლო ორი წლის განმავლობაში შპს „ფოთს” დავალიანება არ გადაუხდია. მერიის ქონების მართვის სამსახურის უფროსი გოგა ხაჟომია როგორც ამბობს: „ორი წლის განმავლობაში არაერთი გამაფრთხილებელი წერილი გადავუგზავნეთ, მაგრამ უშედეგოდ და ამიტომ იძულებული გავხდით, კონტრაქტორ შპს-თან ცალმხრივად გაგვეწყვიტა ხელშეკრულება. ხელახალი ტენდერის გამოცხადებისას პირობები გამკაცრდება, რათა შემდეგში იგივე პრობლემების წინაშე არ დავდგეთ. მხოლოდ ხელშეკრულების შეწყვეტა გამოსავალი არ არის და სფერო უპატრონოდ რჩება”.

ხაჟომიას ნაწილობრივ ეთანხმება შპს „ფოთის” ამჟამინდელი დირექტორი ვაჟა ციკოლია, რომელიც ფინანსურ დავალიანებას არ უარყოფს, თუმცა განმარტავს, რომ ტექნიკური მხარე თითქმის შესრულებული ჰქონდათ: „ხელშეკრულება დავალიანების გამო შეუწყდა ფირმას, რაც შეეხება ვალდებულებებს, შესრულებული იყო. პრობლემა გახლდათ კამერების დაუყენებლობა. დახაზვა უკვე დაწყებული გვქონდა, ფარნავაზ მეფის ქუჩაზე პარკირების ადგილის ნახევარი დახაზულია. ახლაც ეტყობა დახაზული, შემდეგ გვითხრეს, ხელშეკრულებას ვწყვეტთო და შეჩერდა სამუშაოებიც. გაფრთხილება გვქონდა და თანხა ეტაპობრივად შეგვქონდა, მაგრამ ვერ ვეწეოდით. როდესაც გამოგვიგზავნეს წერილი მთლიანი დავალიანების დაფარვის მოთხოვნით, მე საპასუხო წერილი გავუგზავნე მერიას, რომ გადავადება გაეკეთებინათ. სამწუხაროდ, უარი მოვიდა და ხელშეკრულება შეგვიწყვიტეს”.

ციკოლიას თქმითვე, დავალიანება მუშაობის დაწყებისთანავე დაედო, რომელსაც ნელ-ნელა ემატებოდა: „როდესაც ჩავიბარე შპს უკვე ქონდა დავალიანება. თავდაპირველად პარკირების სისტემაში რუსთაველის რკალი შედიოდა და ვამუშავებდი თანამშრომლებს. კვარტალში 12 000 უნდა შემეტანა. თავიდან თანხა ვერ შემოვიდა და 8 000 ლარი უცებვე დაედო. თავიდან 20 თეთრი იყო, შემდეგ შეგვაცვლევინეს და 30 თეთრი გახდა, ხალხი იმ 20 თეთრს ძლივს იხდიდა, შემდეგ იყო და რკალიც ჩამოგვართვეს - ხალხის მოთხოვნაო. შესაბამისად, დაწყობილი სისტემა აირია. ჩემი აზრით, ერთ-ერთი პრობლემა საჯარიმო სამსახურის არ ყოლაა. არ ხდებოდა დაჯარიმება. როგორც აღმოჩნდა, არასარფიანი იყო ჩვენთვის ეს სამუშაო, რადგან ვალი დაგვედო”. ციკოლია ასევე პარკირებაზე მომუშავე ადამიანების გეგმის შეუსრულებლობაზეც საუბრობს: „ზოგ თანამშრომელს დღიური გეგმა ყოველ დღე შემოქონდა, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, ვისაც არ მოქონდათ, ზოგი სამსახურში არ მოდიოდა. ამ მხრივ ზამთარი ძალიან რთული გამოდგა, თანამშრომლების მოძიებაც არ იყო ადვილი და ზოგიერთი ადგილი ისე რჩებოდა”.

მიუხედავად ხელშეკრულების გაწყვეტისა, პარკირების ადგილას კვლავ დგანან ფორმიანი ადამიანები და ჩვეულ რიტმში მუშაობენ. ციკოლია ამბობს,



რომ ისინი უკვე აღარ არიან მისი თანამშრომლები: “როგორც კი შეწყდა ხელშეკრულება, დავიბარე თანამშრომლები, გავაცანი შექმნილი მდგომარეობა და ანალოგიურად, მეც გავწყვიტე მათთან ხელშეკრულება. ამიტომ ისინი აღარ არიან ჩემი თანამშრომლები, გავაფრთხილე, რომ არ დამდგარიყვნენ თვითნებურად. თუმცა, ისინი პარკირებას დაწყებამდეც იდგნენ და ახლაც ისე დგანან. უბრალოდ, ჩვენ როდესაც მუშაობა დავიწყეთ, პარკირებაზე თვითნებურად მომუშავე ყველა თანამშრომელი დავტოვეთ და იმედია, ვინც მოიგებს ახალ ტენდერს, არც ის გაუშვებს მათ სამსახურიდან”.

ციკოლია პირობის შეუსრულებლობის კიდევ ერთ ხელისშემშლელ ფაქტორზე საუბრობს, როგორიცაა ბაზრის ტერიტორია: „ძალიან ბევრი გაყიდული სააბონენტო დამიბრუნდა უკან, რადგან როდესაც აბონენტი ბაზრის ტერიტორიაზე დადგა, იქ კიდევ მოთხოვეს პარკირების გადასახადი. ამან უკმაყოფილება გამოიწვია და უკან დამიბრუნდა სააბონენტოები”.

ჩვენ გავესაუბრეთ პარკირების ერთ-ერთ თანამშრომელს და ვკითხეთ, რატომ იდგა იმ ადგილზე და გადასახადს იღებდა: „რომ არ დავდგე, ახალი მოვა და სხვას დააყენებს, მე უმუშევარი დავრჩები. რა ვქნა? ადგილის დაკარგვას მირჩევნია, ვიდგე. თუ ვინმე გადაიხდის ხომ კარგი. თუ არადა, არც არავის ვთხოვ. ყოველ დღე შემქონდა გეგმით გათვალისწინებული 15 ლარი. ზოგჯერ არც არაფერი მრჩებოდა მაგრამ გეგმას ყოველთვის ვასრულებდი და სამუშაოს გარეშე რატომ უნდა დავრჩე?”.

დავალიანების ამოღებას მერია სამართებლივი გზით აპირებს და უახლოეს დღეებში სასამართლოში შეიტანს სარჩელს. გადახდის ფორმას სასამართლო გადაწყვეტს.

# გაუქმდება თუ არა საბაჟო სპეციალობა კოლეჯ,,ფაზისში,,?!

**დასაწყისი პირველი გვერდზე**

პროგრამის ადაპტირებას, გავიარე მთელი რიგი საკითხები პროგრამის დროული მომზადების მიზნით და დეკემბრის ბოლოს ადაპტირებული პროგრამა მზად იყო მოდულების განხორციელების რიგითობის ჩათვლით, შემდგომი მისი განხორციელების იმედით. ვერ წარმოიდგენთ ჩემს გაკვირვებას, როდესაც 2018 წლის საგაზაფხულო მიღებისთვის კოლეჯმა მოდული არ დაიმატა, არათუ საგაზაფხულო მიღებისთვის არ დაიმატა, არამედ ამა წლის ივნისში გავიგე, რომ საერთოდ არ იმატებს ამ და კიდევ რამდენიმე პროგრამას. მიღებული ინფორმაცია ვერ დავიჯერე და მივმართე ხარისხის მენეჯერს, რომელმაც მითხრა, რომ პროგრამის განხორციელების უფლებას განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არ იძლეოდა, რადგან პროგრამა ოპტიმიზირებული არ იყო. ხოლო, როდის დაამტკიცებდა სამინისტრო, არ იცოდა. არ იმატებს იმიტომ, რომ ბოლო წუთებში მას არ ექნებოდა ამდენი მოდულის დამუშავების დრო, რაზეც აღშფოთებული მპასუხობს, რომ მას არ შეუძლია ამდენი პროგრამის მომზადება, რომ ის ერთია და პროგრამა ბევრი. ბოდიში, მაგრამ პროგრამა „საბაჟო საქმე“ 2017 წლის დეკემბრის ბოლოს უკვე მზად იყო საგაზაფხულო მიღებისთვის ავტორიზაცია გაევლო და სავსებით სამართლიანად მიჩნდება კითხვა; რას აკეთებდა ასეთ მნიშვნელოვანს კოლეჯის ხარისხის მენეჯერი, რომ 7 თვე ვერ მოიცალა პროგრამისთვის?” კოკაია ასევე საუბრობს სპეციალობის დახურვის დასახელებულ ერთ-ერთ მიზეზე - საბაჟო საქმის სპეციალობიდან სტუდენტების გარიცხვა. კოკაია აღნიშნულ ფაქტს არ უარყოფს, მაგრამ როგორც ამბობს, კურსიდან გაირიცხნენ ის სტუდენტები, რომლებიც საერთოდ არ გამოცხადნენ კოლეჯში: „როდესაც საქართველოში პროფესიულ განათლებას სახელმწიფო სრულად აფინანსებს, რატომ უნდა ირიცხებოდეს კურსზე ისეთი სტუდენტი, რომელიც მასწავლებელს თვალითაც არ უნახავს და რატომ უნდა ითვლებოდეს ასეთი სტუდენტის გარიცხვა მიუღებლად? ვფიქრობ, აქ ხარისხი მთავარია რაოდენობაზე”.

კოკაიას ასევე უჩნდება ეჭვი იმის თაობაზე, რომ შესაძლებელია, ეს ყველაფერი მიზანმიმართულად ხდებოდეს, თუმცა მიზეზებზე ვერ საუბრობს: „მიჩნდება ეჭვი, რომ მიზანმიმართულად ხდება მოდულურ პროგრამებზე უარის თქმა. რატომ არ აპირებს კოლეჯი იმ პროფესიების მოდულური პროგრამების განხორციელებას, რომლის საგნობრივი სპეციალობები წლებია კოლეჯში წარმატებით ისწავლებოდა? რა პასუხს გასცემთ რეგიონში ამ სპეციალობების დაუფლების მსურველ ახალგაზრდებს და არამარტო ახალგაზრდებს? იქნებ უფრო სახელმწიფოებრივად მივუდგეთ აღნიშნულ საქმეს, ამ პროგრამების შემუშავებაში და მათი სახელოსნო კაბინეტების მოწყობაში დიდი თანხებია ჩადებული, როგორც სახელმწიფოს მხრიდან, ასევე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების თანამონაწილეობით იმისათვის არა, რომ ბოლოს ნაგავსაყრელზე მოვისროლოთ, საქართველოს ნამდვილად არა აქვს ამის ფუფუნება”!

რამდენიმე თვის წინ, კოლეჯში სასწავლებლად ჩაეშვა პროგრამა „ლაბორატორიული საქმე მეთევზეობაში”. სპეციალობის შესასწავლად კოლეჯში შეიქმნა სპეციალური ლაბორატორიები. კოკაია კოლეჯში ფართის სიმცირეზეც საუბრობს, რადგან ახალი პროფესიის განსახორციელებლად კოლეჯს მოუწია სადურგლო და ელექტრო შემდუღებლის ლაბორატორიებზე უარის თქმა, თუმცა მოგვიანებით შემდუღებლის ლაბორატორია ნაწილობრივ აღდგა: „არ ვიცი, რატომ, მაგრამ მას შემდეგ, რაც საზოგადოებრივი კოლეჯი „ინოვაციური პროფესიული განათლების დანერგვა საქართველოს მეთევზეობის ინდუსტრიაში” პროექტის ფარგლებში გრანტიორი გახდა, რომელიც დაფინანსებულია „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს მიერ, დაიწყო სხვადასხვა პროექტების დახურვა. ერთი თვის შემდეგ აკეთებს ასეთ განაცხადს, რომ სადურგლო და ელექტრო შემდუღებლის სპეციალობა იხურება. ეს მაშინ, როდესაც სახელოსნო ლაბორატორიები საერთაშორისო ორგანიზაციების დაფინანსებით აღიჭურვა. სადურგლო სახელოსნოს ისეთი დანადგარები ქონდა, რომლის ანალოგი საქართველოში არ აქვთ. გაუქმების მიზეზად დასახელდა ის, რომ განათლების სამინისტრომ აკრძალა შენობაში მსგავსი ტიპის სახელოსნოების არსებობა”. სახელოსნოები დემონტირდა და მის ადგილას გაკეთდა თევზის ლაბორატორიები. არ ვიცი, რა მოხდა, მაგრამ ცოტა ხანში ფოიეში სასადილოდ განკუთვნილ ოთახში ელექტრიკოსის ლაბორატორია მოეწყო, სადაც არსებული ტექნიკის ნაწილი დაეტია. ასევე, უქმდება სტილისტის და ძრავის სპეციალისტის პროფესია”.

ჩვენ შევეცადეთ, დავკავშირებოდით პროფესიულ კოლეჯის დირექტორს ნინო ბაკურაძეს. ინტერნეტ სივრცეში გავრცელებული ინფორმაცია საბაჟო სპეციალობის მოსალოდნელ დახურვასთან დაკავშირებით ბაკურაძის გაკვირვებას იწვევს, უფრო მეტიც მისი განმარტებით არათუ იხურება, არამედ უფრო გაუმჯობესებული ფორმით განახლდება. „არ ჩავთვალე საჭიროდ, რომ ამ თემაზე პოლემიკა სოციალური ქსელით გამემართა, მოხარული ვარ, რომ გაზეთის საშუალებით მომეცემა ამის შესაძლებლობა. დაპირისპირება პედაგოგსა და ხარისხის მენეჯერს შორის მოხდა. სოციალურ ქსელში კი მგონია, რომ კითხვა „უნდა ისწავლებოდეს თუ არა ფოთში საბაჟო საქმე” არასწორად იყო დასმული, რადგან არათუ უნდა ისწავლებოდეს არამედ აუცილებელია, და იმისათვის, რომ ეს პროფესია ჩაშვებულიყო ჩვენს სასწავლებელში ძალიან დიდ შრომა მაქვს გაწეული და მე დავხურავ? დღესაც მიმდინარეობს სწავლება და ქალბატონი ნინო ასწავლის. უნდა აღვნიშნო, რომ საგნობრივი პროგრამებიდან ხდება გადაწყობა მოდულურ პროგრამებზე. ყველა პროგრამის ერთდროულად განხორციელება ძალიან რთულია. ამ ეტაპზე ვცდილობთ ხუთი პროგრამა მოდულური გავხადოთ და საგაზაფხულო მიღებაზე კიდევ ვეცდებით დავიმატოთ. რაც შეეხება საბაჟო საქმეს, დღეისათვის მესამე საფეხურის სწავლება მიმდინარეობს და გადავდივარ მეოთხე საფეხურის სწავლებაზე. მესამე საფეხურზე დაიშვებოდა 9 კლას დამთავრებულები, საბაზო განათლებით, მომავალში დაიშვება მხოლოდ საშუალო განათლების ატესტატის მქონე აბიტურიენტები, სწავლებაც მეოთხე საფეხურის შესაბამისი იქნება. პროფესიებზე მიღებების უფლებას ერთპიროვნულად არ ვახდენ. ხარისხის ცენტრის მიერ ხდება იმ სპეციალობების ჩამონათვალის გამოქვეყნება, რომელზედაც შეგვიძლია მიღება განვახორციელოთ. ჩვენ ვართ ორიენტირებულები დასაქმებაზე, შრომის ბაზარი კი ძალიან ცვალებადია. სიმართლე რომ ვთქვა საბაჟო საქმე და მასთან ერთად რამდენიმე სპეციალობა არ გამოირჩევა დასაქმების მაღალი მაჩვენებლით, მაგრამ ვცდილობ შევინარჩუნო. პროფესიაზე სწავლა, რომ გაგრძელდეს უნდა მოვახდინო დადასტურება, რომ პროფესია მოთხოვნადია, უნდა ვაჩვენო გასული წლების დასაქმების მაჩვენებელი, ეს ერთ-ერთი მოთხოვნაა ავტორიზაციის. ასევე არ განხორციელებულა საშემოდგომო და საგაზაფხულო მიღებაზე სტილისტის პროფესია, მიუხედავად იმისა, რომ მოდულური პროგრამა გვქონდა, მაგრამ პროგრამა ოპტიმიზაციაზე იყო და სამინისტრო რეკომენდაციას არ იძლეოდა. ხუთშაბათს კი ხარისხის ცენტრის მიერ გამოქვეყნდა სპეციალობების სია, სადაც მოხვდა სტილისტის სპეციალობაც და ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ქონდა.

რაც შეეხება ელექტრო შემდუღებლის სახელოსნოს, გადავიტანეთ გაცილებით დიდ ფართზე, ხოლო სადურგლო აპარატურა დასაწყობებული გვაქვს და როდესაც სწავლა განახლდება სახელოსნო სტანდარტების შესაბამისი გაკეთდება”.

დღეისათვის სასწავლებელში ატესტატის მქონე აბიტურიენტები ირიცხებიან. როგორც ცნობილია პარლამენტი მუშაობს კანონპროექტზე „პროფესიული განათლების შესახებ”, სადაც შევა ცვლილებები და მეოთხე საფეხურის სწავლებას დაემატება სასკოლო პროგრამებიც. შესაბამისად პროფესიული სასწავლებელში საგაზაფხულოდ მიიღება 9 კლას დამთავრებულებიც, რომლებიც სასწავლებლის დამთავრების შემდეგ აიღებენ როგორც ატესტატს, ასევე სასწავლებლის დიპლომს. მხოლოდ სპეციალობის შესწავლის მსურველები შეისწავლიან მხოლოდ პროფესიას. ბაკურაძის თქმით კანონი იხვეწება, რომლის შემდეგ სწავლის მსურველთათვის არანაირი ჩიხი არ იარსებებს.

ბაკურაძის მტკიცებით საბაჟო სპეციალობაზე მიღება გაზაფხულზე განახლდება.

# თენგიზ ხუხია: ,,სიძნელეების არ გვეშინია,,

**დასაწყისი 3-გვ.**

ვგეგმავთ ამ ფესტივალის ფარგლებში რეჟისორების გარდა მასტერკლასები ჩაატარონ სცენოგრაფებმაც. გვაქვს ასეთი პროექტი - ერთ-ერთი სტუმარი თიხის რეწვის სპეციალისტია, მასტერკლასებს ჩაუტარებს ადგილობრივ ბავშვებს, რომლებიც სამხატვრო სკოლაში სწავლობენ და იქ არის არაჩვეულებრივი ბაზა. მათ ნამუშევრებს ვიცნობ. თეატრშიც იყო მათი ნამუშევრების გამოფენა. მათთვის საინტერესო და ახალი იქნება ის, რომ რასაც ხელით ქმნიან, იმის კომპიუტერში გადატანა და იქ აწყობა მოუწევთ.

-ძალიან რეზონანსული იყო სამხატრო ხელმძღვანელის მღებრიშვილის წასვლა ფოთის თეატრიდან. რეალურად, მიზეზი გაურკვეველი დარჩა საზოგადოებისთვის. მან თავადაც არ გააკეთა კომენტარი ამის თაობაზე, გარდა ფეისბუქის საკუთარ გვერდზე გამოქვეყნებული პოსტისა. ვინ არის დღეს დასის ხელმძღვანელი?

- თეატრის დასს დღეს ხელმძღვანელი რეალურად არ ყავს. მოვალეობას ვასრულებ ამ ეტაპზე მე. ვერ გეტყვით ამის თაობაზე ვერაფერს, კონკრეტული პასუხი არ მაქვს. ალბათ, ყველაფერმა ერთად იმოქმედა. ვერ გაუძლო თეატრში შექმნილ სიტუაციას. დაფარული არ არის და არც დიდი საიდუმლოა, რომ თეატრში ვიღაცას ვიღაცასთან კონფლიქტი შეიძლება ქონდეს. თეატრი ერთი პატარა სახელმწიფოა, სადაც ზუსტად ისე ხდება, როგორც გარეთ. ყველა თეატრი ასეა. თეატრი ეს არის ქვეყანა ქვეყანაში. აქაც შეიძლება იყოს ინტრიგა, ოპოზიცია. ვიღაცას შეიძლება რეპერტუარი არ მოსწონდეს, შეიძლება მსახიობი ფიქრობდეს, რომ კონკრეტულ როლს უკეთ შეასრულებდა, ვიდრე ის, ვისაც როლი მისცეს. ამის გამო არც ერთი თეატრი არ ინგრევა, ეს თუ არ იქნა, მაშინ თეატრი არ არის, გახდება რაღაც ქარხანა. რაც შეეხება მღებრიშვილის წასვლას, მიმაჩნია, რომ თუ ომია, უნდა დარჩე და მოიგო. ვიმეორებ, ალბათ, ვერ გაუძლო შექმნილ მდგომარეობას.

-თეატრის გზა, რომელიც განვლო თქვენთან ერთად...

-2005 წლიდან თეატრის ხელმძღვანელი ვარ. იმ პერიოდში თეატრი პატარა შენობაში იყო განთავსებული. მაშინ დაიწყო ახალი თეატრის მშენებლობა და დროებით თეატრისთვის გამოიყო ფართი, ძველი კულტურის სახლი. გარემონტდა შენობა და გადავიდა ფოთის თეატრი. დროებითი მდგომარეობა გადაიქცა 9 წლიან მოლოდინის რეჟიმად, თუმცა ამ დასის და თეატრის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ თეატრმა შეძლო არა მარტო შენარჩუნება, არამედ ძალიან ბევრ წარმატებას მიაღწია. შეიქმნა ძალიან ბევრი სპექტაკლი, რომელიც დადგა ქართველმა და უცხოელმა რეჟისორებმა, გაიმართა ბევრი პრემიერა, იყო ძალიან ბევრი კორპროდუქცია, გვქონდა ძალიან ბევრი საერთაშორისო გასტროლი, ვუმასპინძლეთ ძალიან ბევრ უცხოელ დასს და რათქმაუნდა, ის ჯილდოები, რაც გვაქვს, არის იმ პატარა თეატრის დამსახურება. თეატრმა შესძლო ნელნელა განვითარება და ჩამოყალიბდა იმ სახით, როგორიც არის დღეს. რათქმაუნდა, ამ ყველაფერში მონაწილეობა მიიღეს იმ ადამიანებმა, რომლებიც დღემდე არიან თეატრში, როგორც მოწვეული ისე ადგილობრივები. სხვადასხვა რეჟისორის მუშაობამ ამ დასზე ძალიან კარგი კვალი დატოვა, უფრო გაიზარდა სკოლა, სხვადასხვა სკოლებთან შეხებამ მოგვცა ის, რომ ჩვენ უკვე რამდენჯერმე გავხდით „დურუჯის“ მფლობელები. ის ტემპი, რომელიც ფოთის თეატრს ქონდა აღებული, სამაგალითოა თავისი მუშაობის შინაარსით როგორც შიდა, ისე ქვეყნის გარეთ. ერთ-ერთ წარმატებულ თეატრად ჩამოყალიბდა დროთა განმავლობაში, სწორედ რომ, ამ გამოცდილებამ მოგვცა ის საშუალება და სურვილი, ფოთის თეატრი გამხდარიყო დიდი საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის მასპინძელი. ჩვენ როგორც კი პატარა შენობაში დავიწყეთ მუშაობა, გაჩნდა საერთაშორისო ურთიერთობა. 2007 წელი გახდა ფოთის თეატრი „აიტიემის“ წევრი - ევროპის თეატრების საერთაშორისო ქსელია, სადაც საქართველოდან მხოლოდ ფოთის, რუსთაველის, ბათუმის თეატრები და ოპერის თეატრია. ეს ქსელი ინფორმაციის მიღების, გასვლის საუკეთესო საშულებაა. ამ წევრობამ ასევე მოგვცა სხვადასხვა რეჟისორებთან თუ სცენოგრაფებთან ურთიერთობის საშუალება. 2008 ჩვენ უკვე გვქონდა პირველი კონტრპროდუქცია და გერმანელი რეჟისორი და სცენოგრაფი ჩამოვიყვანეთ და ამის მერე ვცდილობთ ყოველ წელიწადს მინიმურ ორი, ერთი კონპროდუქცია გაკეთდეს და შესაბამისად, ამ უცხოელებთან მუშაობის შედეგად უფრო გაგვეხსნა ბაზარი, ამდენად, ფოთის თეატრი მონაწილეობს ძალიან ბევრ საერთაშორისო ფესტივალზე ძალიან წარმატებით. სწორედ მაშინ გაჩნდა იდეა, შეგვექნა მსგავსი და შეიქმნა საქართველოს რეგიონული თეატრების ქსელი, რომელშიც ყველა რეგიონული თეატრი გაწევრიანდა, რომლის თავმჯდომარედ მე ამირჩიეს მაშინ, ყველაზე ახალგაზრდა ხელმძღვანელი ვიყავი - 25 წლის.

-რა განცდაა, იყოთ თეატრის ხელმძღვანელი...

- როდესაც პირველად შევედი თეატრში, ჩემი პირველი სიტყვები იყო - უნდა გახდეს ჩემთვის დიდი ოჯახი და ყველანი ამ ოჯახის წევრები. ყველა ერთად უნდა ვეცადოთ, ეს ოჯახი იყოს ერთ-ერთი სამაგალითო სხვა ოჯახებს შორის, ანუ რეალურად პირველი სლოგანი იყო ეს - შევქმნათ ოჯახური ატმოსფერო და დღემდე ასე მოვდივართ.

-რას ნიშნავს თეატრი თქვენთვის.

-თეატრი და თენგო ხუხია ამ ეტაპზე განუყოფელია. 13 წელი გავიდა, დავინიშნე ამ პოზიციაზე. დავძლიეთ გამოწვევები, პრობლემები, მოვიპოვეთ გამარჯვებები. რათქმაუნდა, თუ არ გიყვარს ეს საქმე, ეს ატმოსფერო, ის ადამიანები, ვისთან ერთადაც აკეთებ ამ საქმეს, ვერ გაჩერდები, არ გაჩერდები.

-ყველა იმ პრობლემის მიუხედავად, რაც თეატრმა გამოიარა, ვგულისხმობ უბინაობას და დღესაც ანალოგიური მდგომარეობაა, თითქოს თეატრს წყევლასავით ახლავს ასეთი ყოფა და მაინც თეატრალური დასი ძალიან ბევრ წარმატებას აღწევს, ძალიან ბევრი წარმატებული მსახიობი გვყავთ . რა არის თქვენი წარმატების რეცეპტი?

-ვინც ორიენტირებულია, თავისი ენერგია მაქსიმალურად დახარჯოს კარგი პროექტის გასაკეთებლად, ყოველთვის იქნება შედეგი. ძალიან ბევრი ვერ უძლებს მსგავს პრობლემებს, მაგრამ მე და ჩემი თანამშრომლები კვლავაც წარმატებით გადავლახავთ სიძნელეებს. ამის არ გვეშინია..

# აიპების ანგარიში საზოგადოებას

დასაწყისი 2-გვ.

თვის საკუთარი შემოსავალი მეტია 26.565 ლარით გასულ წელთან შედარებით. მეტობას კი განაპირობებს ფასიან წრეებზე ჩარიცხულ მოსწავლეთა რაოდენობა.

მან ასევე ისაუბრა სახელოვნებო ცენტრში არსებული მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედებითი ცენტრის შესახებ, რომელიც შემოქმედების მხრივ ყველაზე მეტად დატვირთულია. ცენტრში სხვადასხვა წრეები ფუნქციონირებს. სწავლება აღნიშნულ წრეებზე არის როგორც ფასიანი, ასევე უფასო. უფასოდ ცენტრი სოციალურად დაუცველ ოჯახებს და განსაკუთრებული ნიჭის მქონე ბავშვებს ემსახურება. როგორც შევიტყვეთ, დღეის მდგომარეობით ცენტრი 507 მოსწავლეს ითვლის. მოსწავლეთა-ახალგაზრდობის შემოქმედებითი ცენტრის მიზანია მოსწავლეების საბუნებისმეტყველო, ტექნიკური, მხატვრული და ესთეტიკური კუთხით განვითარება ნიჭიერ შემოქმედთა და შემეცნებითი ჯგუფების ჩამოყალიბება. აღნიშნულს ცენტრი პასუხობს, რადგან ყველაზე აქტიურად საქალაქო ღონისძიებებში თუ მის ფარგლებს გარეთ სწორედ ცენტრის მოსწავლეები არიან




მარგო ჯანიაშვილი




ვერიკო ლაღიძე

ჩართულნი.

ნინო პაჭკორიამ ასევე ხაზი გაუსვა იმას, რომ საჭიროა მოსწავლე ახალგზრდობის სახლის შემოქმედებითი ცენტრი ჩაისვას 2019 წლის ბიუჯეტში და ჩაუტარდეს სარემონტო სამუშაოები, რადგან აღნიშნული ცენტრი ფინანსურად ყველაზე დიდი შემომტანია. არსებული შენობის გარემონტების შემთხვევაში, ბუნებრივია, გაიზრდება პედაგოგთა მოტივაცია, გაუმჯობესდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მოსწავლეთა რაოდენობა, რაც სახელოვნებო ცენტრის შემოსავალზეც აისახება და არამარტო ეს სახლი, დანარჩენი სხვა სასწავლებლის შენობებიც, რომლებიც განთავსებულნი არიან კულტურული მემკვიდროების ძეგლის სტატუსის მქონე შენობებში.

პაჭკორიამ სახელოვნებო ცენტრის მიერ 6 თვეში განხორცილებული ღონისძიებების შესახებაც ისაუბრა, რომელიც გასულ წლებთან შედარებით დატვირთული გახლდათ.

სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების 6 თვის ანგარიშში ნათლად ჩანს ფოთელი სპორტსმენების წარმატება როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე გარეთაც. სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანება აერთიანებს 11 სასპორტო სკოლას, რომელშიც შედის სპორტის 20 სახეობა. გაერთიანების წლიური ბიუჯეტი შეადგენს 820 000 ლარს, 6 თვეში გაცემული სახელფასო ხარჯი 29 4658 ლარია, სამივლინებო ხარჯი 44102 ლარი, სხვა ხარჯი კი 39424 ლარი: „მთელი წლის განმავლობაში სპორტსმენები აგრძელებენ როგორც მსოფლიო, ევროპის და საქართველოს ჩემპიონატებზე ასევე სხვადასხვა ტურნირებში ასპარეზობას“ –განაცხადა ბექა გუგუშვილმა.

თავის ანგარისში გუგუშვილმა ხაზი გაუსვა იმ პრობლემებს, რომლებიც სპორტულ სკოლებს აქვს - ინფრასტრუქტურული, მწვრთნელთა ლიცენზირების, სპორტსმენების მივლინების და საწრთვნელი შეკრების პრობლემები. სასპორტო გაერთიანება ქალაქის მერიასთან ერთად აქტიურად მუშაობს აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად. გუგუშვილმა მხარდაჭერისა და დახმარებისთვის მადლობა გადაუხადა ყველა იმ ადამიანს, ვინც სპორტსმენებს უდგას გვერდში.

„სერვისების ცენტრის” მიერ შესრულებულ სამუშაოებზე დირექტორის მოადგილემ ვერიკო ლაღიძემ ისაუბრა. მან გეგმიური სამუშაოებთან ერთად, დასუფთავების მოსაკრებლიდან შემოსავლების ზრდაზე, უსაფრთხოების ღონისძიებებსა და სათანადო ინვენტარით მუშა-მოსამსახურეთა აღჭურვაზე გაამახვილა ყურადღება.

წარდგენილ 6 თვის მუშაობის ანალიზში შრომის დაცვისა და უსაფრთხოების მიზნით ლაღიძემ ხაზგასმით აღნიშნა,რომ სატუმბ სადგურებზე და ნაგვის ურნებზე განახლებულ და დატანილ იქნა უსაფრთხოების სტიკერები, 6 თვის განმავლობაში ქალაქში დარგულ იქნა 7666 ძირი ნარგავი სხვადასხვა დასახელების ყვავილები და ბუჩქოვანი მცენარეები, გაითიბა მწვანე საფარი 437 443 კვ.მ ფართზე. მოიჭრა 31 და შეისხეპა 439 ძირი ხე. სარემონტო, გაწმენდითი და ავანკამერების ამოწმენდითი სამუშაოები ჩაუტარდა ქალაქში განთავსებულ ყველა სატუმბ სადგურს. ამოწმენდილია 72139 გრძივი მეტრი სიგრძის სანიაღვრე არხები და 500 მ სიგრძის მაგისტრალური არხი. დღეის მდგომარეობით განთავსებულია 650 ურნა.

სერვის ცენტრის ზედამხედველობით განხორციელდა ქალაქის ქუჩების მოხრეშვა-დაგრეიდერება -ჯამში 107600 ლარის სამუშაო (გამოყოფილი თანხა არის 110,0), ასევე სრულად იქნა ათვისებული საგზაო ნიშნებით გათვალისწინებული თანხა 20 000 ლარი, რომლითაც მოეწყო საგზაო ნიშნები - დაიხაზა გზებზე ქვეითად მოსიარულეთა გადასასვლელები და ღერძულა ხაზები.



ბლიც ინტერვიუ

# გიორგი ფარეშიშვილი: ,,ჩემში ყოველ წამს სიყვარულია,,



– დაახასიათეთ საკუთარი თავი სამი სიტყვით

– მშვიდიც, ემოციურიც, ვცდილობ გულწრფელი ვიყო, სამართლიანი.

– საიდან იწყება თქვენთვის დედამიწა

– ჩემი სოფლიდან, თელავის რაიონი სოფელი ვარდისუბანი.

– მუსიკა თქვენს ცხოვრებაში

– ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, მაქვს მუსიკალური განათლება, 11 წელი ვმღეროდი ხალხურ ანსამბლში, გიტარის პედაგოგი გახლდათ ოთარ რამიშვილი, ვოკალის პედაგოგი კი - ნოდარ ანდღულაძე. მიყვარს როგორც ფოლკლორი, ისე კლასიკური მუსიკა, ვუსმენ თანამედროვე მიმდინარეობასაც.

– მიზანი

– კეთილსინდისიერად ვემსახურო ჩემს ქვეყანას, სადაც უნდა ვიყო და რა თანამდებობაზეც. ასევე, დავტოვო რაიმე ფასეული...

– მიღწევა

–უხერხულია ამაზე საუბარი, მაგრამ მიღწევად მიმაჩნია ჩემი კარგი მეგობრები, ყველაზე დიდი საგანძური ადამიანები არიან ჩემს გარშემო.

– ოცნება

– ადამიანებს გვიყვარდეს ერთმანეთი, ვაპატიოთ ერთმანეთს, გვერდში დავუდგეთ და პასუხისმგებლობა ავიღოთ ერთმანეთზე.

– ღირსება და ნაკლი

– ბევრია ჩემს ცხოვრებაში ნაკლი და შეცდომა, ვხედავ ჩემს ნაკლოვანებებს, ჩემს გვერდით მყოფი ადამიანებიც მეხმარებიან მის გამოსწორებაში .

– რას შეცვლიდით ცხოვრებაში

– მეტს დავუჯერებდი დედა და მამას. რაც დრო გადის, ვრწმუნდები, რამდენად კარგი მშობლები მყავს.

– ჰობი

– მოგზაურობა, ვცდილობ, თუ მაქვს დრო და საშუალება, ვიმოგზაურო. რაც შეიძლება მეტი კულტურა და ხალხი ვნახო, ამით სულიერი სამყარო ძლიერდება.

– რამდენად იცნობთ საქართველოს .

– საქართველოს ყველა კუთხე მაქვს მოვლილი აფხაზეთის ჩათვლით. განსაკუთრებით ბედნიერი ვიყავი 3 წლის წინ სოხუმში ყოფნისას.

– ტყუილი და თქვენ..

– რთულად მახსენდება, რომ მოვიტყუე, მაგრამ თუ გავრისკე და მოვიტყუე, სახეზე ეგრევე მეტყობა. რაც არ უნდა მწარე იყოს, სიმართლე მირჩევნია.

– რისი გეშინიათ

– საკუთარი თავის, რადგანაც ყველა ადამიანს გვაქვს ღვთისაგან მონიჭებული არჩევანის საშუალება. მაქვს არა ღვთის შიში, არამედ რიდი და სიყვარული.

– რამ შეიძლება აგაყვიროთ

– ვცდილობ არ ავყვირდე, იშვიათად, ტონს ავუწიო. ალბათ, უსამართლობა ამაყვირებს

– აკვიატებული ფრაზა

– შემოგევლე.

– რამდენად აზარტული ხართ

– საშინლად არააზარტული, არც ერთი თამაში არ ვიცი.

– საყვარელი სასმელი

– წყლის გარდა კარგი კახური ღვინო...

– კერძი, რომელსაც საყვარელ ქალს მოუმზადებთ

– საკმაოდ კარგად მეხერხება ეს საქმე, ამიტომ, შევურჩევდი მის ხასიათს და განწყობას.

– წიგნი, რომელიც ბოლოს წაიკითხეთ

– მარგარიტ ტეჩერის ავტობიოგრაფიული წიგნი.

– როგორი მეგობარი ხართ

– სჯობს, მეგობრებს ჰკითხოთ. ვცდილობ, სინდისიერი მეგობარი ვიყო.

– ქერა თუ შავგვრემანი

– ორივეს აქვს თავისი პლიუსები და მინუსებიც.

– ღალატი

– ეს არის ყველაზე დიდი ადამიანური ტრაგედია.

– სიყვარული

– სიყვარული ჩემში ყოველ წამსაა, რადგან მის გარეშე ვართ საგნები, სხვა არაფერი

– ოჯახი

– სიწმინდე

– როგორ წარმოგიდგენიათ საკუთარი თავი 20 წლის შემდეგ

– იმედია, ცოცხალი ვიქნები და ყველა ადამიანი, ვინც მიყვარს, კარგად იქნება. 20 წლის შემდეგ ნახევარი საუკუნის ვიქნები და ვეცდები, ჩემი გამოცდილება ჩემს ქვეყანას მოვახმარო.

– რას ნანობთ

– ძალიან ბევრ რამეს...

– მხატვარი რომ იყოთ, რას დახატავდით

– ემოციას, მხატვრობას დიდი ადგილი უჭირავს ჩემს ცხოვრებაში, მოგზაურობისას ვცდილობ, რომ ვნახო სამხატვრო გალერიები და თითქმის ყველა ცნობილი დიდი მხატვრების ექსპოზიცია მაქვს ნანახი, რადგან ეს გვეხმარება სამყაროს შეცნობასა და ფიქრში.

– გრძნობა, რომელიც ამ წამს გაქვთ

– როგორც ყოველთვის, ამ წამსაც მაქვს სიყვარულის და მადლიერების განცდა ადამიანების მიმართ.

წერილი რედაქციას

# „ოჭოფეს„ ანუ ივანე სოსოევიჩი უქია გიგი ხონელსა

როგორც იქნა!!! გიგი უგულავამ გარედან გამოიხურა ციხის კარები!გამოსვლისთანავე სააკაშვილიც მოიხსენია და ჯართში ჩაბარებულად გამოაცხადა. ის დრო გამახსენდა, როდესაც გიგი ნაცმოძრაობის ახალგაზრდულ „კმარას“ ედგა სათავეში და მათ მიერვე შექმნილ ცნობილ პლაკატს უნიტაზიდან თავამოჩრილ პოლიტიკური ოპონენტების გამოსახულებით რომ ავრცელებდა კამოსავით საქართველოს ქალაქებსა და სოფლის ორღობეებში. ასე, რომ უნიტაზის პოლიტიკური დანიშნულებით გამოყენება არ იყო მისთვის, ისევე, როგორც მისი თანაპარტიელებისათვის უცხო რამ, მაგრამ ვერ გაიმეტა ყოფილი კეთილისმყოფელი. სააკაშვილი კი არ ჩარეცხა უნიტაზში, „უცხო ნივთიერებას“ კი არ შეურია, არამედ ფრიად ჰიგიენური ადგილი მიუჩინა – ჯართში გაამწესა. უნდა ვიფიქროთ, ჯართივით მეორადი მოხმარების პერსპექტივით. მორჩა რა სააკაშვილის „პოლიტიკურ დაბინავებას“, ქვეყანას შველა უნდაო ბრძანა და ბურჯად შეუდგა „ევროპულ საქართველოს“. ამასწინათ, დიდი ზომის ბანერს მოვკარი თვალი მიხეილ თამარაშვილის ქუჩაზე, ზედ ბატონი უგულავა იყო გამოსახული გაშვერილი ხელით და შორს, სივრცეში მიმართული მზერით.

შეცვლილიყო ბატონი გიგი, აღარ ჰქონდა ახალგაღვიძებული კაცის იერი, როგორც მაშინ, როდესაც სააკაშვილმა იგი სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის გუბერნატორად დანიშნა უგულავას იმდროინდელი გამონათქვამები და ის ინტერვიუც გამახსენდა, სადაც თქვა,რომპირველი სიტყვა მის მიერ მეგრულ ენაზე წარმოთქმული იყო „ოჭოფეს“ და ეს არც არის გასაკვირი, იმ დროისათვის უგულავას საუფლოში, მათ შორის ფოთში, უმაღლესი რანგის ჩინოსანთა ოჭოფე ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა,და რომ იგი ფიქრებში წასულ გუბერნატორს დასცდა სავსებით ბუნებრივია.

ფოთის საკრებულოში აღარ ისმოდა არც „ასლანბეგურა“ ასლან აბაშიძის „აღორძინების“ ნარჩენებიდან და არც მოქკავშირული „ედუარდ ჩვენო“ დაშლილ-დანაწევრებული „მოქალაქეთა კავშირის“ თავგზააბნეული წარმომადგენლებისაგან. დროდადრო „პოლიტიკურ ძალთა კოალიცია“ (ჟღერს ხომ?) და „ვეფხისებურ ზვიგენად“ წოდებული „პოლიტიკურ ძალთა“ სახედ ქცეული ასანიძე ფორმალურად თუ შეახსენებდნენ თავს საზოგა დოებას ავყია განცხადებებით, რომლებიც ისევე არ შეეფერებოდა ნაციონალური მოძრაობის „რევოლუციურ“ რიტორიკას, როგორც კრიმანჭული „შავლეგოს“.

ჯერ კიდევ არ იყო შემდგარი ნაცმოძრაობის „პოლიტიკური ლიბრეტოს“ ხაჩიძისეული პრიმიტიული სალაღობო „მიშა მაინც მაგარია“, მაგრამ ნაცმოძრაობის აგრესიული ფრაზეოლოგიითა და „ოჭოფეს-საქმიანობით“ დამფრთხალი ფოთის საკრებულოს „პოლიტიკურ ძალთა კოალიციის „მომავლისათვის“ ხმოსნები3 საკუთარი თავის მომავლისათვის სწრაფად იცვლიდნენ პოლიტიკურ ორიენტაციას განდაგანას მოტივებზე. კომიკური „კოალიციიდან“ ნაცმოძრაობის სერიოზულ ფერხულში გადაბარგების მიზნით.

აი, ასეთ ვითარებაში წარმოთქვა ბატონმა უგულავამ საეტაპო ფრაზა: „ვანოს ჯანსაღი ხედვა აქვს“, რითაც გვამცნო, რომ ფოთისათვის არათუ ახალი მერი შეარჩია,არამედ ნაციონალური მოძრაობაც „გააძლიერა“. „ჯანსაღი ხედვა“ – არის ამ სიტყვათაწყობაში, როგორც იტყოდა პოეტი, რაღაც „ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი“, ისეთი რამ,რაც ადრე არ გვსმენია, როდესაც ადამიანების დასახასიათებლად ისეთ სიტყვებს იყენებდნენ, როგორიცაა „კომპეტენტური“, „ავტორიტეტული“, „საქმიანი“, „პრინციპული“, „განათლებული“, უნარიანი და ა.შ.

„ხედვა“ – ეს სიტყვა „ვარდების რევოლუციის“ „გუშაგებს“ შემოყვა ქართულ პოლიტიკურ-ბიუროკრატიულ ლექსიკაში და არის მასში რაღაც სამედიცინო შემადგენელი მით უმეტეს, როდესაც მიდგმად „ჯანსაღი“ ახლავს.

მეც ვიფიქრე, რა ჭირდა ვახტანგ ალანიას, რომელსაც არც თვალისჩინი აკლდა, არც ასტიგმატიზმი აწუხებდა, და არც სიელმე, მოსაუბრესაც ყოველთვის უსწორებდა თვალს ვანოსგან განსხვავებით და საერთოდ ოფთალმოლოგიურად სავსებით ჯანსაღად ითვლებოდა. „ჯანსაღი ხედვა“ უგულავას მიხედვით ნიშნავდა იმას, რომ მის მიერ შერჩეული ფუნქციონერის დანიშნულებაა მუდმივად შესციცინოს ზემდგომს თვალებში და „ხედვა“ არ გაექცეს გვერდზე, სხვა პოლიტიკური ბანაკისკენ. არც რაიმე დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების სურვილი არ უნდა გაუჩნდეს ვახტანგ ალანიასათვის, რომელმაც ერთი წლის განმავლობაში სრულიად დამოუკიდებლად, უგულავას დაუკითხავად პერსონალით დააკო მპლექტა და სრულ წესრიგში მოიყვანა სატუმბი სადგურები, სანიაღვრე არხები, წყალგამყვანი გალერეა რიონის არხის მარცხენა ნაპირზე, დაიწყო წყალ-მარეგულირებელი ნაგებობის რეაბილიტაცია, მთლიანად აღადგინა ქალაქის ცენტრალური ნაწილის ფეკალური კანალიზაცია. მისი ძალისხმევით გადაწყდა და დაიწყო ელექტრომომარაგების დამატებითი ხაზის გამართვა. ქალქის თეატრის შენობის,თვითდინებითი წყალმომარაგებისა და კუნძულის უბნის დეტალური დაგეგმარების დაპროექტება. განხორციელდა ჭანტურიას ქუჩის რეკონსტრუქცია, თითქმის ორჯერ გაიზარდა საბიუჯეტო შემოსავლები. უგულავასთან შეთანხმების გარეშე მიიღო გადაწყვეტილება ნავსადგურზე უზურფრუქტით უსასყიდლოდ გადაცემული, მაგრამ აუთვისებელი 380 ჰა მიწის ქალქის ფონდში დაბრუნების შესახებ.

ქალაქისათვის სასარგებლო საქმიანობას კი ეწეოდა ვახტანგ ალანია, მაგრამ უგულავას „დიაგნოზით“ ხედვა არ ჰქონდა ჯანსაღი. არ შესციცინებდა თვალებში გიგის და როგორც იტყვიან მის დაუკითხავად დამთქნარებასაც ბედავდა. ამიტომაც ოჭოფეს.

სხვა საქმეა ვანო. პირველი რაც გააკეთა მერად გამწესების შემდეგ მისივე სიტყვებით „დამწიოკებლები“, ანუ ალანიას დანიშნული მოხელეები დაითხოვა და წყალსამეურნეო საქმის პროექტირებისა და ექსპლუატაციის თვალსაჩინო სპეციალისტი გურამ ქანდარია უსამსახუროდ დატოვა. მის მიერ შექმნილი ქ. ფოთისათვის უაღრესად საჭირო საპროექტო ორგანიზაცია კი დაშალა. დეტალური დაგეგმარებისა და გენგეგმის პროექტები თაროზე შემოდო, წინამორბედი მერის მიერ შექმნილი ჭარბი მილიონი კი, საახალწლო „ტაშფანდურს“, საწვავის შეძენას მოახმარა და პრემიებად დაურიგა საკრებულოს წევრებს (ხმოსნებს). ის 380 ჰა „აღნაგობის წესით“ დაუბრუნა ნავსადგურს თანაც „პროცენტებით“: იმ 380 ჰექტარს ქალაქის ფონდის ტერიტორიაც ზღვისპირა ბულვარით ზედ შეაყოლა, როგორც უბრძანეს „უფროსებმა“ ზუგდიდიდან და თბილისიდან. მერიაც დააკომპლექტა ფოთში ნაცმოძრაობის „თვალისა და ყურის“ (როგორც უწოდებდა საკუთარ თავს დ. შურღაია) მითითებების შესაბამისად.

აქ შეიძლება ითქვას, რომ ვ. საღინაძემ წარსულში სხვათა „არაჯანსაღი ხედვების“ შედეგების ლიკვიდაცია დაასრულა და საკუთარი „ჯანსაღი ხედვით“ ქალაქზე გადაერთო.

ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ მისი მმართველობის პერიოდში ფოთში მოწესრიგდა ელექტრომომარაგება, წყალმომარაგება, გაიმართა გარე განათება, დაიწყო გაზიფიცირება, თეატრისა და ტაძრის მშენებლობა, მაგრამ ყველაფერი ეს განხორციელდა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ძალისხმევითა და დაფინანსებით, ისევე, როგორ მთელ ქვეყანაში,ასე,რომ ჩამოთვლილი პროექტები. ფოთის ხელმძღვანელთ აქტივში ვერ ჩაეთვლება.

რვა წელიწადი გაატარა ვანომ ფოთის მერისა და საკრებულოს თავმჯდომარის სავარძელში და ბევრი რამ მოასწრო. უფრო სწორად,ბევრი რამ გასაკეთებელი არ გააკეთა და უფრო მეტად აკეთა ის, რაც გასაკეთებელი არ იყო. მივყვეთ ფაქტებს.

მას შემდეგ, რაც ქუთაისში შინმოუსვლელთა მემორიალი დაანგრიეს,მის ადგილზე პარლამენტისთვის მშენებლობა წამოიწყეს და ქუთაისის განაპირა უბანში სპორტდარბაზი ააშენეს, საღინაძემ მსგავსად ამისა ფოთის მემორიალს, კულტურული მემკვიდრეობის ბრწყინვალე ძეგლს ტერიტორია ჩამოაჭრა და იქ საცურაო აუზის მშენებლობა წამოიწყო. მხოლოს იმიტომ, რომ ხელისუფლების მაღალ ჩინოსნებს მალთაყვაზე გზაგავლით მისი "ნახელავი" საცურაო აუზი ენახათ. მართალია მშენებლობა შეწყდა საქართველოში ხელისუფლების შეცვლის შედეგად, მაგრამ მემორიალის კუთვნილი ტერიტორია დღესაც აოხრებულია ისე, როგორც ვანომ დატოვა.

ამავე პერიოდში უგულავამ "ძეგლთა ამოძრავებას" დაუდო სათავე. თბილისში თამარ მეფის ხიდთან კლდეზე მიჯაჭვული ამირანი მოწყვიტა იქაურობას, შემდგომ კი დავითაღმაშენებელი გადაანაცვლა "ვარდების მოედნიდან" დიღომში და სახით დასავლეთისკენ მიმართა, ასე ვთქვათ "ხედვა გაუჯანსაღა" მეფის ქანდაკებას. ჩრდილოეთს განარიდა. გიგის არც ვანო ჩამორჩა. მისი "ჯანსაღი ხედვა" ავად მოხვდა ფოთის ცენტრში აღმართულ კოლხი დედის ძეგლს, ქალაქის უმნიშვნელოვანეს ღირსშესანიშნაობას, რომელიც სახით „საუბედუროდ“,ჩრდილოეთისაკენ იყო მიმართული, ანუ "პოლიტიკურად" არასწორად ორიენტირებული. ქანდაკება მოისროლეს, კვარცხლბეკი მოშალეს.

შემდგომ ამისა, არქიტექტურულ ძეგლებსაც მისდგა. ჯერ გემთსაშენის კლუბის შენობა გაასხვისა, რომელიც მიანგრ-მოანგრიეს და მიაგდეს და დღემდე ვერ მიაგნეს მყიდველ "ინკოგნიტო – მესაკუთრე ინვესტორს". იგივე ბედი ეწია ფოთის მოამაგის XX საუკუნის გამოჩენილი მშენებლის ედმონდ ფრიკის მიერ ნიკონიკოლაძის მმართველობის პერიოდში აშენებულ მოდერნის სტილში შესრულებულ მნიშვნელოვან არქიტექტურულ ძეგლს ყოფილი უშიშროების სამმართველოს შენობას, რომელიც "ვისოლს" უბოძა საკუთრებაში ფოთში სავაჭრო ცენტრის აშენების სანაცვლოდ. "ვისოლ–ინვესტორმა" კი არც სავაჭრო ცენტრი ააშენა და არც ფრიკის შედევრს მოუარა, რომელიც გაიძარცვა და გაპარტახდა.

მოგვიანებით ვანო კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს ძეგლს დაეტაკა. რას უნდა დატაკებოდა ვანო? რა დარჩა ფოთში დასატაკებელი? რა და აგერ ყველაზე დიდი საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობა ყოფილი ჰიდრომე ლიორაციული ტექნიკუმის უნიკალური შენობა, კოლხეთის საუკუნოვანი ჭაობების დაშრობისა და ათვისების ნიშანსვეტი, რომელშიც 60 წლის განმავლობაში ფუნქციონირებდა ქართველ მელიორატორ-სპეციალისტე ბის სკოლა. სამშენებლო საქმის დიდოსტატის, ფოთის მკვიდრის ივანე ლაღიძის პროექტით და მისივე ზედამხედველობით მკვიდრად ნაგები შენობა, რომელსაც სახურავიც გააჩნდა და კარ-ფანჯრებიც, სართულშუა გადახურვები, ღობე და ჭიშკარიც. მანამ, სანამ ვანომ თავისი "ჯანსაღი ხედვა" არ დაასო მას და თავის ახალ "პოლიტიკურ მოყურადე-მწყემსთან" ბატონ ლემონჯავასთან ერთად არ დააქცია ეს ეპოქალური მნიშვნელობის ძეგლი.

პოსტსაღინაძის პერიოდშიც, სამწუხაროდ ამ შენობისადმი ინტერესი არც ახალ ხელმძღვანელობას გამოუჩენია, როგორც ამბობენ "კომისიურად" შეამოწმეს და დასანგრევად მიიჩნიეს. ალბათ ტერიტორიის შემდგომი გაყიდვის მიზნით, თორემ დასანგრევი რა სჭირს. აგერ, თბილისში აღმაშენებლის და რუსთაველის პროსპექტებზე მრავალი ძველი შენობების ფასადები შეინარჩუნეს, ხოლო ინტერიერი განაახლეს.

ორიგინალური კურიოზებიც" არ იყო უცხო ვანოსათვის. ზუსტ თარიღს ვერ ვიხსენებ, მაგრამ მგონი იმ წელიწადს, როდესაც გიგიმ თბილისში "კომუნისტურ-საბჭოური" ხანის გამოგონილი დღესასწაული "თბილისობა" ჩაატარა და თავიც დაამახსოვრა საზოგადოებას უზარმაზარ საწნახელში მხარზე ხელიხელგადაკიდული თითქოს ხორუმს ასრულებსო, რამდენიმე თანაგუნდელთან ერთად ლაღად და ენერგიულად რომ ჭყლეტდა ყურძენს, ქვეყნის პრეზიდენტმა ბაფთა გაჭრა ფოთის ახალი წყალსადენის გახსნის ნიშნად. მაგრამ ფოთიდან გამგზავრებისთანავე წყალიც გაქრა "პოტიომკინის სოფელივით" კარგა ორი წლით. წყალსადენის თავკაცი ოჭოფეს. ვანო კი გადარჩა. ხედვა ჰქონდა ჯანსაღი და იმიტომ.

უგულავას გამოჩენამდე, როდესაც, უნდა ვიფიქროთ, რომ ვანოს ჯერ კიდევ ხედვა არ ჰქონდა მთლად ჯანსაღი, იგი არჩეული იყო ფოთის საკრებულოში საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ და მთელი სამი წლის განმავლობაში აქტიურად უჭერდა მხარს ფოთში თბოელექტროსადგურის მშენებლობას, მაგრამ როდესაც ამ საქმეში ფინანსური დარღვევები აღმოჩნდა, სასამართლო პროცესზე მერია დაზარალებულ მხარედ ცნო. ამ დროს იგი ქალაქის მერად აღზევებული, "ჯანსაღი ხედვით" იყო გამორჩეული და იმიტომ, საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე კი ოჭოფეს.

მართალია ვანომ კულტურული მემკვიდრეობის, გამოჩენილი ხუროთმოძღვრებისა და მოქანდაკეების შექმნილი ძეგლები კი დააწიოკა ფოთში ისევე, როგორც გიგიმ თბილისში, მაგრამ სანაცვლოდ ფართო მოხმარებისსაქონელი და უსარგებლო საგნები აქცია ძეგლებად და ის დაგვიტოვა. მაგალითად, გიგიმ ველოსიპედს დაუდგა ძეგლი ვარდების მოედანზე და „ცხვრის კოჭებს“ ორთაჭალაში. ვანომ კი რკინის მილზე წამოასკუპული საათი ყვავილნარით მორთული ვაგზლის მოედნის მიმდებარედ, გზაჯვარედინზე ფოთში. ზარბაზნის ლულა ნიკოლაძის კოშკთან. უცნობი ხელოსნების მიერ შექმნილი გაურკვეველი წარმომავლობის ლომების ქანდაკებები ხიდის თავსა და ბოლოში. რაც განსაკუთრებით განაცვიფრებს ადამიანს, უცნობ ხომალდს ჩამოწყვეტილი მის მიერ ძეგლად ქცეული ღუზაა. ღუზა ზედ ნიკო ნიკოლაძის ძეგლის პირდაპირ. მართალია მსოფლიოში ეს ერთად-ერთი "ღუზა–ძეგლი" ვერ იქცა ტურისტების გრავიტაციის ცენტრად ფოთში, სადაც დღეს ისევე შეუძლებელია იხილოთ გემი, როგორც ვერ იხილავთ მას ხონსა და ჩხოროწყუში, საიდანაც "ღუზა-ძეგლის" იდეის ავტორები სარინაძე და ლემონჯავა გახლავან წარმოშობით, რომლებმაც, უნდა ვიფიქროთ, ფოთის ნავსადგურის ქალაქისაგან საიმედოდ და მკვიდრად გამიჯვნის, ზღვისა და გემის არდავიწყების ნიშნად დადგეს ის ღუზა იქ. ასე, რომ გემი ღუზით ინტერნეტსივრცეში იხილეთ, ღუზა-გემის გარეშე ფოთში, შუა ქუჩაში.

ღუზა ვანოს სიმპატიაა. ერთი კი არა, ორი ღუზაა გამოსახული ფოთის გერბზე, გერბი კი ფოთის მერიისა და საკრებულოს ბლანკებზე არის აღბეჭდილი. სხვა საქმეა რატომ არის იგი იქ, რას ემსახურება? ან რატომ არის გემის სამუხრუჭე სისტემის ნაწილი ფოთის გერბზე გამოსახული" ეს ხომ იგივეა, რომ ვანოს მშობლიურ ივანდიდის ცენტრში, იქაური კოლმეურნეობის ჩამოწერილი ტრაქტორის სამუხრუჭე ბერკეტი დაიდგას "ძეგლად" და შემდეგ იმავე სოფლის გერბზე აისახოს გაორმაგებული ოდენობით, ურმის ბორბლის ფონზე, როგორც წარსულისა და აწმყოს უწყვეტობის სიმბოლო.

"დაწიოკების" მორიგმა ტალღამ გადაუარა ფოთს "გვიანდელი" საღინაძის პერიოდში, რეფრენით: "აიღე ავტოფარეხი, თორემ "კოდალა"4 მოვა. "კოდალა" გუგავა არ არის, მხოლოდ ნგრევაზეა ორიენტირებული და ავტოფარეხის მფლობელის, ან სხვა მესაკუთრის ურჩობის შემთხვევაში ექსკლუზიურად ერთვებოდა საქმეში და ნაგებობისაგან ქვას ქვაზე არ ტოვებდა.

მართალია, ამ კამპანიის ინიციატორი საღინაძე არ იყო, მაგრამ არც მას და არც მის შეშინებულ საკრებულოს წევრებს პროტესტი არ გამოუთქვამთ ამ ინიციატივის ფრიად საეჭვო, ვოლუნტარისტული მეთოდების გამო. ეს არც არის გასაკვირი. "ნაცმოძის" თარგით დაკომპლექტებული ვანოს საკრებულო ხომ ერთსულოვნებით იყო გამორჩეული, ისეთი ერთსულოვნებით, როგორიც მხოლოდ სასაფლაოზეა შესაძლებელი.

ვანო საღინაძის საქმიანობა დაფასდა იმით, რომ ფოთის მერებს შორის პირველს მას ხვდა წილად აკადემიკოსის ტიტული. იგი ფაზისის საერო სახალხო აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს, რამაც სტიმული მისცა მას გაეაქტიურებინა „დემოკრატიული ძიებანი“ და 2010 წლის 28 ოქტომბრის განკარგულებით თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენციაში შემავალი საკითხებისა და წინადადებების მომზადების მიზნით საზოგადოებრივი სათათბირო შექმნა და ძირითადად ხსენებული აკადემიის აკადემიკოს-კოლეგებით დააკომპლექტა. თავისი მაგალითით ვანომ ახალი პროვინციალური ტრადიცია დაამკვიდრა ფოთში. ამიერიდან მერები და საკრებულოს თავმჯდომარეები მათ მიერ დაკავებული სავარძლების ხათრით, აკადემიის წევრებად აირჩევიან. დღეს მოქმედი ფოთის საკარებულოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე, საღინაძის შემდგომი მერები დღევანდელის ჩათვლით, ყველანი აკადემიკოსები არიან. თუმცა ძნელი სათქმელია რას ცვლის ეს გარემოება ჩინოსანთა მარგი ქმედების ამაღლების თვალსაზრისით. საზოგადოებრივი სათათბირო კი მოქმედებს: აკადემიკოსებს ამრავლებს, ქალაქის სახელის შეცვლასაც ცდილობს. სხვა მხრივ კი ხან ღობეს ედება, ხან ყორეს, ხანაც წყალს ნაყავს და კიდევ, მერისა და საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობებზე ვანო საღინაძის პერიოდში ფოთის საკრებულოს ორი თავმჯდომარე (მათ შორის ერთი მოქმედი) ოჭოფეს, ყოფილი მერი და მისი მოადგილე ოჭოფეს, ექიმების ჯგუფი და ცალკე ერთი ქალბატონი ექიმი ოჭოფეს, მშენებლები ოჭოფეს, ბიზნესში მომუშავე სამი პირი ოჭოფეს, ერთი პროფესორიც ოჭოფეს, რამდენიმე პოლიციელი ოჭოფეს, ორი პენსიონიერი ოჭოფეს... ეს რაც გამახსენდა. დაჭერები საზოგადოების ფართო ფენებს მოედო, ბატონმა საღინაძემ კი დამწიოკებლების იარლიყი სხვებს მიაკერა კარიერის დასაწყისში. საინტერესოა ამჟამად რა აზრისაა? და „ჯანსაღი ხედვა“ უგულავამ რომ მიანიჭა, ხომ არ შეცვლია?

---

3."ხმოსნები"–საკრებულოს წევრი

4."კოდალა"–ბეტონის სანგრევი მოწყობილობა

როგორც არ უნდა იყოს, კარგია რომ ამჟამად ფოთთან დაკავშირებული ისტორიული მეხსიერების საღინაძისეული ხელყოფა შეწყვეტილია და იგი „ვანოს ფოთურ ესკიზებში“ დარჩა მხოლოდ, როგორც ავად მოსაგონარი, მავნე პრაქტიკა, რომლის შედეგები მაინც დასაძლევია დღეს.

პატივისცემით,
ი. მოწერელია
09.03.18

# განცხადება

როცა ბალანსი დაცულია

რეფორმების ახალი ტალღა ენერგეტიკაში - სემეკმა მომსახურების ხარისხის მონიტორინგის ინოვაციური პროექტი წარადგინა

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (სემეკ) მომსახურების კომერციული ხარისხის მონიტორინგის სისტემის შესახებ ახალი პროგრამა - „ელექტრონული ჟურნალი“ წარადგინა. ღონისძიებას დაესწრნენ საქართველოს პარლამენტის, სამთავრობო უწყებების, ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორში მოქმედი გამანაწილებელი კომპანიების, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლები. ღონისძიება გახსნა სემეკის თავმჯდომარე ირინა მილორავამ. „ელექტრონული ჟურნალის“ შესახებ პრეზენტაცია წარადგინა კომისიის წევრმა, გიორგი ფანგანმა.

„ელექტრონული ჟურნალი“, რომელიც უნიკალური პროგრამაა და ანალოგი არ გააჩნია, სემეკის თანამშრომლების მიერ შეიქმნა. პროგრამა 2016 წლის ბოლოს ამოქმედდა და მისი საშუალებით, სემეკი რეალური დროის რეჟიმში მონიტორინგს უწევს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორებში მოქმედი გამანაწილებელი და წყალმომარაგების ლიცენზიატი კომპანიების მიერ მომსახურების კომერციული ხარისხის სტანდარტების შესრულების პროცესს.

ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორებში არსებული მომსახურების კომერციული ხარისხის სტანდარტები მოიცავს გეგმურ და არაგეგმურ წყვეტებს; ქოლცენტრის მომსახურებას; ახალი მომხმარებლის ქსელზე მიერთებას; აბონენტად რეგისტრაციას; დავალიანების გადაუხდელობის გამო გამორთული მომხმარებლისთვის მომარაგების აღდგენას; მომხმარებლის წერილობით მოთხოვნაზე კომპანიის მიერ პასუხის გაცემას ან/და რეაგირებას; აღრიცხვის ხელსაწყოს შემოწმებას; მომარაგების ტექნიკური ხარისხის შემოწმებას. მათი დარღვევის შემთხვევაში კომპანიას წარმოეშვება აბონენტისთვის კომპენსაციის და რიცხვის ვალდებულება. საქართველო გახდა პირველი ქვეყანა, რომელიც „ელექტრონული ჟურნალის“ საშუალებით, ყველა ზემოაღნიშნული სტანდარტის შესრულებაზე, სტანდარტის დარღვევის შემთხვევაში კი - კომპენსაციის გაცემაზე კონტროლს, ასევე, სტატისტიკური მონაცემების შეგროვებას მოახდენს დისტანციურად - რეალური დროის რეჟიმში.

„ელექტრონული ჟურნალის“ საშუალებით, 2017 წლის პირველი იანვრიდან 2018 წლის 31 მაისის პერიოდში სტანდარტების დარღვევისათვის, გამანაწილებელი კომპანიების მიერ აბონენტებზე გაცემული კომპენსაციების ოდენობამ 2 164 520 ლარი შეადგინა. მათ შორის, ელექტროენერგეტიკის სექტორში გაიცა 1 406 129 ლარი; ბუნებრივი გაზის სექტორში - 428 374 ლარი; ხოლო წყალმომარაგების სექტორში - 193 101 ლარი.

კომპენსაციების ყველაზე დიდი ოდენობა - 1 175 585 ლარი გაცემულია შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიერ; შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ მიერ გაცემული კომპენსაციების ოდენობამ შეადგინა 601 710 ლარი; სს „ენერგო პრო ჯორჯიას“ მიერ - 137 980 ლარი; სს „საქორგგაზის“ მიერ – 106 665 ლარი; სს „თელასის“ მიერ - 96 500 ლარი; შპს „ყაზტრანსგაზთბილისის“ მიერ – 23 210 ლარი; შპს „რუსთავისწყლის“ მიერ - 22 835 ლარი; შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ - 1 665 ლარი; შპს „ბათუმის წყლის“ მიერ – 300 ლარი, ხოლო სხვა მცირე კომპანიების მიერ გაცემული კომპენსაციების ოდენობამ - 700 ლარი.

დარიცხული კომპენსაციები სტანდარტების მიხედვით ასე გადანაწილდა: ახალი მომხმარებლის ქსელზე მიერთების სტანდარტის დარღვევის გამო გაცემული კომპენსაციების პროცენტული მაჩვენებელი შეადგენს 93%-ს; ხოლო დანარჩენი 7% მოიცავს აბონენტად რეგისტრაციის, მომარაგების აღდგენის, წერილობითი პასუხის გაცემა/რეაგირების; აღრიცხვის ხელსაწყოს მოწყობის; მომარაგების ტექნიკური ხარისხის შემოწმების სტანდარტების დარღვევას.

სემეკის ამოცანაა, რომ ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორებში მოქმედი კომპანიების მიერ მაქსიმალურად გაუმჯობესდეს მომსახურების ხარისხი. ამ მიზნით უახლოეს მომავალში "ელექტრონული ჟურნალს" ასევე დაემატება, სამივე რეგულირებად სექტორში, მიწოდების საიმედოობის მონიტორინგის ფუნქცია.

◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇

# განცხადება

ფოთის საზღვაო ნავსადგური აცხადებს ტენდერს მე-6 ნავმისადგომზე განლაგებული 2 (ორი) ერთეული პორტალური ამწის (სოკოლი) დემონტაჟზე და ჯართად გატანაზე.

დეტალური ინფორმაციისთვის მიმართეთ:

კონსტანტინე ჩაგანავა- 599887542, Konstantine.Chaganava@apmterminals.com
დაინტერესებულმა პირებმა გთხოვთ, მოგვმართოთ 2018 წლის 15 ივლისამდე.
მდებარეობა: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქუჩა №52.




სპორტი

## ბელორუსიის ღია პირველობა წყალსათხილამურო სპორტში

ბელორუსიის ღია პირველობა წყალსათხილამურო სპორტში ბელორუსიის დედაქალაქ მინსკში ჩატარდა ბელორუსიის ღია პირველობა წყალსათხილამურო სპორტში. ღია პირველობაზე 5 ქვეყნის სპორტსმენები მონაწილეობდნენ, მათ შორის ჩვენი ქალაქის სპორტსმენი თორნიკე სურგულაძე, რომელმაც ფიგურულ სრიალში დაიკავა III საპრიზო ადგილი.

სურგულაძის მწვრთნელი გიორგი სურგულაძე გახლავთ.



◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇

## ფოთში ჭადრაკის საერთაშორისო ფესტივალი წარმატებით მიმდინარეობს

წელს მეცამეტედ, ფოთის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით, ფოთში ჭადრაკის საერთაშორისო ფესტივალი წარმატებით მიმდინარეობს. მასში 15 ქვეყნის 400-მდე მოჭადრაკე იღებს მონაწილეობას.

ღონისძიების საზეიმო გახსნას ქალაქის ხელისუფლების წარმომადგენლები დაესწრნენ.

ფესტივალის ფარგლებში დაგეგმილი გახლავთ სხვადასხვა სპორტული თუ კულტურული აქტივობები.

ფესტივალის მთავარ ტურნირს ფოთის ნანა ალექსანდრიას სახელობის საჭადრაკო კლუბის სატურნირო დარბაზი, ,ჩ და ღია და ასაკობრივ ტურნირებს კი დარბაზი "მონოპოლი" მასპინძლობს.

ღონისძიება 20 ივლისს დასრულდება. მისი საპრიზო ფონდი 45 ათას ლარს შეადგენს.



◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇◇

## ელენე წოწონავამ ევროპის სასკოლო ჩემპიონატზე წარმატებით იასპარეზა

პოლონეთში, ევროპის სასკოლო ჩემპიონატზე წარმატებით დაასრულა ასპარეზობა ელენე წოწონავამ. ცუდი სტარტის შემდეგ მას ბრწინვალე ფინიში გამოუვიდა და ბოლო 3 ტურში ზედიზედ იმარჯვა. მან 9 შესაძლებლობიდა 6,5 ქულით II-V ადგილები გაიყო სხვა მოჭადრაკეებთან ერთად. თუმცა კოეფიციენტი სხვებზე უარესი აღმოაჩნდა. ელენე დაჯილდოვდა შესაბამისი ხარისხის დიპლომით და საჩუქრებით. მან ასევე გაიუმჯობესა საერთაშორისო რეიტინგი.

ასევე კარგი შედეგი აჩვენა გაგა გვასალიამ, 7 წლის ჭაბუკთა შორის მან 5 ქულით მე-9 ადგილზე დაასრულა ტურნირი. გაგას პირველი გასვლა იყო მსგავსი მასშტაბის ტურნირზე და შესაბამისად პირველ ათეულში ადგილის დამკვიდრება მისთვის საკმაოდ დიდი წარმატებაა.

ჩემპიონატის საზეიმო დახურვაზე ასევე დაჯილდოვდა დათო კოდუა, ჩემპიონატის მსვლელობის დროს ევროპის სხვადასხვა ქვეყნების მასწავლებელთათვის გამართული სემინარის "სკოლის ჭადრაკის მასწავლებელი"-ს ლექტორი.

# დაისვენეთ წინდახედულად

ზაფხული ტრადიციული სეზონია ოჯახური დასვენებისათვის. სუფთა ჰაერი, ვიტამინები და ჟანგბადით თრობა... მაგრამ თუ ახალგაზრდა მშობლები ხართ, ხოლო თქვენი პატარა ჯერ ერთი წლისაც არაა, რა უნდა ჰქნათ? დარჩეთ ჩვეულ, მაგრამ ქალაქის დაძაბულ ატმოსფეროში თუ არ შეგეშინდეთ სიძნელეების და დაისვენოთ, როგორც ყველამ? და რა არის ბავშვისათვის უკეთესი? პასუხებს ამ და სხვა კითხვებზე იპოვნით ჩვენს სტატიაში. ექიმები ერთმნიშვნელოვნად გირჩევენ – 3 წლამდე ასაკის ბავშვისათვის ყველაზე სასარგებლოა მშობლიურ ადგილებში დასვენება. კლიმატის მკვეთრმა გამოცვლამ შეიძლება სერიოზულად შეარყიოს ბავშვის ჯანმრთელობა, განსაკუთრებით ეს ეხება იმუნურ სისტემას. თუ ძუძუს ბავშვი გყავთ, უმჯობესია სადმე თბილისთან ახლოს დაისვენოთ.

სუფთა ჰაერი, მზე, გაწმენდა გრილი წყლით, ბანაობა – დაეხმარება მას გაკაჟებაში. პატარა თავის კლიმატურ ზონაში იცხოვრებს, რაც ხელს შეუწყობს მას ძალების შენარჩუნებაში და ასეთი სტარტი თქვენს შვილის ჯანმრთელობას საუკეთესო საფუძველს ჩაუყრის. თბილ სეზონზე პატარამ დიდი დრო უნდა გაატაროს სუფთა ჰაერზე. დაჩა თუ დასასვენებელი სახლი? ყველაფერი თქვენს სურვილზე და შესაძლებლობებზეა დამოკიდებული. მაგრამ იმისათვის, რომ დასვენება კომფორტული იყოს როგორც მშობლებისათვის, ისე ბავშვისათვის, ბევრ რამეზე უნდა იზრუნოთ.

წყალი - წყლის შეცვლამ შეიძლება ცუდად იმოქმედოს ბავშვის საჭმლის მომნელებელ სისტემაზე, ამიტომ იზრუნეთ მისთვის ჩვეული წყლის მარაგზე. უმჯობესია გამოიყენოთ სპეციალური, ბოთლებში ჩასხმული წყალი ბავშვისათვის. ამ წყლის გამოყენება შეიძლება წინასწარი დამუშავების გარეშე, სასმელად და ყველანაირი საჭმლის მოსამზადებლად.

კვება - თუ თქვენი პატარა მხოლოდ ძუძუთი იკვებება, პრობლემა თავისთავად იხსნება. ხოლო თუ ხელოვნურ საკვებზეა, მოიმარაგეთ იგი. ამასთან, უმჯობესია გამოიყენოთ მშრალი საკვები, იგი უკეთესად ტრანსპორდირდება და ინახება. ცხელი წყლისა და ელექტროობის უქონლობისას შეუცვლელია ხსნადი რძიანი ფაფები. მათ არ ჭირდებათ ხარშვა, არ ჭირდებათ მდუღარე, არ ფუჭდებიან. ფაფას შეგიძლიათ დაასხათ ანადუღარი, ოთახის ტემპერატურის წყალი უშუალოდ ჭამის წინ. 6 წელზე მეტი ასაკის ბავშვებისათვის არ იქნება ზედმეტი ქილებში ჩადებული, გამზადებული ბოსტნეულის და ხილის პიურე. ხორცის მომარაგებისაგან ზაფხულში უმჯობესია თავი შეიკავოთ. თუ საჭმელი გირჩევნიათ თავად მოამზადოთ, წაიღეთ თან ამისათვის საჭირო ინსტრუმენტები. თუ რძის წაღება გსურთ, შეარჩიეთ სპეციალური რძე ბავშვებისათვის, რომლის შენახვის პირობები 25 გრადუსამდეა.

ჭურჭელი - თერმოსი – ნამდვილი დამხმარეა. იგი დაგეხმარებათ ფაფის მომზადებისას, თბილი წყლის შენახვაში – ბავშვის საკვებისათვის ან თუნდაც მის ჩასაბანად. არ დაგავიწყდეთ სასმელი წყლის ბოთლები (მინიმუმ 2), კოვზები, და მატყუარა საწოვარები(2-3). წაიღეთ თან ელექტროჩაიდანი, საფქვავი.

ჰიგიენა - ნუ იტყვით უარს პამპერსებზე, დაისვენეთ სარეცხისაგან, წაიღეთ იგი სოლიდური რაოდენობით. ხოლო თუ ჩვრებს ანიჭებთ უპირატესობას, წაიღეთ ისინი შედარებით მეტი. ასევე ნუ დაგავიწყდებათ ჰიგიენური სველი ხელსახოცების შესახებ, ასევე საცხი გამოყელვისათვის, პუდრა, ბავშვის საპონი და პირსახოცი. ასევე სარეცხის ფხვნილი ბავშვის სამოსისათვის.

აფთიაქი - ეს აუცილებელია. მის შემადგენლობაში აუცილებლად უნდა შედიოდეს: ბინტი, ბამბა, ბრილიანტის მწვანე, იოდი, ბაქტერიციდული ლეიკოპლასტირი, აქტივირებული ნახშირი, დიარეის საწინააღმდეგო საშუალება, ხველების, ყურის ტკივილის წამლები, წვეთები სურდოსათვის, სიცხის დამწევი, ალერგიისა და ვირუსის საწინააღმდეგო პრეპარატები, პანტენოლი, თერმომეტრი.წაიღეთ თან მხოლოდ თქვენთვის ნაცნობი პრეპარატები, რომლებსაც თქვენი პატარა კარგად იტანს და რომელთა თვისებებს კარგად იცნობთ.

სასწრაფო დახმარება - იკითხეთ, როგორ გამოიძახოთ სასწრაფო დახმარება იმ ადგილზე, სადაც უნდა დაისვენოთ. ასევე გაიგეთ სად არის უახლოესი ბავშვთა პოლიკლინიკა. აუცილებლად წაიღეთ თან სადაზღვევო პოლისები (თქვენი და ბავშვის) და ყველა აუცილებელი დოკუმენტი.

ტანსაცმელი - იქონიეთ თან ისეთი სამოსი, რომელიც ადვილად ირეცხება და სწრაფად შრება. აუცილებლად წაიღეთ თბილი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი თქვენთვის და თქვენი ბავშვისთის ყოველი შემთხვევისათვის.

სხვადასხვა - მოიმარაგეთ გასართობი ბავშვისათვის: სათამაშოები, საჩხაკუნოები, საქანელები, ასევე მანეჟი – ეს ყველაფერი შეიძლება დაგჭირდეთ. როგორი გზებია თქვენს დაჩასთან? თუ თქვენ პატარასთან ერთად ტყეში ან მინდორში გასეირნებას აპირებთ, უმჯობესია იქონიოთ ბავშვის ეტლი დიდი ბორბლებით. თუ ეტლი ხისტია და პატარა ბორბლები აქვს, ასეთ გზებზე იგი არ გამოგადგებათ. დასვენებისას ყველაზე არასასიამოვნო რამაა – მწერები. მათგან რომ ბავშვი დაიცვათ, დაკიდეთ ბავშვის საწოლზე დოლბანდის დამცავი, ხოლო ფანჯრებზე – ბადე. ბუზებისათვის მოსახერხებელია წებოვანი ქაღალდი, ხოლო კოღოებისათვის – ფუმიგატორები. ფრთხილად იყავით სხეულზე წასასმელი საშუალებებისაგან, ისინი შხამიანია და ბავშვებისათვის არ გამოდგება. მაგრამ ყველას არ შეუძლია ბავშვთან ერთად დასასვენებლად წასვლა. როგორ უნდა მოიქცეთ ამ შემთხვევაში? დიდი ქალაქის პირობებში ბავშვთან ერთად გარეთ გასვლა უმჯობესია ერთხელ დღეში, მაგრამ რამდენიმე საათით, რომ შესაძლებლობა გქონდეთ მიხვიდეთ უახლოეს პარკამდე და ისეირნოთ იქ, ვიდრე თითო საათით და თანაც ტრასასთან. გასეირნება კომფორტული რომ იყოს, წაიღეთ თან წიგნი, ფლეერი საყვარელი სიმღერებით, პლედი და დასაკეცი სკამი, ხილი და წვენი, და ჩაიცვით მოსახერხებელი სამოსი. მსუბუქი კომბინიზონი, პამპერსი, საკვები ბოთლით – რამდენიმე საათში მას არაფერი მოუვა, სველი ხელსახოცი, და "კენგურუ" ბავშვისათვის.



თუ არ გაქვთ შესაძლებლობა ყოველ დღე პარკში იაროთ, მაშინ ისეირნეთ დილით ადრე ან გვიან საღამოს, ხოლო შორეული გასეირნება შაბათ-კვირას მოაწყვეთ. სასეირნო ეტლი საკმაოდ მაღალი უნდა იყოს, რომ ბავშვი არ აღმოჩნდეს ერთ დონეზე გამონაბოლქვ გაზებთან. ბავშვებს, რომლებიც ქალაქში რჩებიან, აქვთ მეტი შანსი გადახურდნენ და... გაცივდნენ. მაგალითად, მზეზე მდგარ დახურულ ეტლში ტემპერატურა 50 გრადუსს აღწევს, მაშინ, როცა ქუჩაში მხოლოდ 25 გრადუსია. გადახურებამ და არასწორმა სამოსმა, რომელიც ხელს უშლის ჰაერის მოხვედრას კანზე, შეიძლება ნასიცხი და მზის დარტყმაც კი გამოიწვიოს, ამიტომ ბავშვის ტანსაცმელი და თეთრეული მხოლოდ ნატურალური ქსოვილებისგან უნდა იყოს დამზადებული. დღეში ორჯერ პატარას მოუწყვეთ ჰაერის აბაზანები, ანუ გააშიშვლეთ იგი, ამას გარდა, თუ ძალიან ცხელა და ჰაერი დახუთულია, მთელი დღეც კი შეგიძლიათ გახდილი ამყოფოთ. თუ სარეცხის მანქანა გაქვთ ხარშვის რეჟიმით, მაშინ ეცადეთ, პამპერესების ნაცვლად ჩვეულებრივი დოლბანდი გამოიყენოთ, რადგან პამპერსებში სიცხის დროს ბავშვები დისკომფორტს განიცდიან.

ზაფხულში გაციებები შეიძლება დაკავშირებული იყოს ორპირ ქართან ხშირი განიავების გამო. როცა ყველა ფანჯარა ღიაა, ნუ დატოვებთ ბავშვს შიშველს.

ძალიან ცხელ დღეებში პატარებს მადა ეცვლებათ. სწორი ნივთიერებათა ცვლისათვის ორგანიზმს სჭირდება მეტი სითხე და შესაძლოა ნაკლები საკვები.

**კობა, მაია, თამთა და თორნიკე ჩხეიძეები თანაუგრძნობენ ლენა შამათავას დის გარდაცვალების გამო.**


გაზეთის ხელმომწერთა საყურადღებოდ!
ერთი ნომრის ღირებულება ორგანიზაციებისთვის
1 წლით - 50 ლარი
6 თვით - 25 ლარი
3 თვით - 12,50ლარი
კარდაკარის პრინციპით გაზეთის გამოწერა მოქალაქეებისთვის
3 თვით - 6 ლარი
იკითხეთ გაზეთი მთავარი თემა სამეგრელოში

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" სამუშაოდ იწვევს სამეგრელოს რეგიონიდან ყველა ასაკის მქონე ადამიანებს გაზეთის გამავრცელებლად და სარეკლამო აგენტებად კანდიდატების შერჩევა მოხდება გასაუბრებით. მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/19 ტელეფონი: 599 34 14 17

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" სტაჟირებაზე იწვევს სტუდენტებს, ახალგაზრდებს რომელთაც სურთ მიიღონ გამოცდილება ჟურნალისტიკაში წარმატებული სტაჟიორები დასაქმდებიან გაზეთში. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/19 ტელ: 599 34 14 17

ისარგებლეთ გაზეთ "მთავარი თემა სამეგრელოში"შეღავათიანი მომსახურებით, განათავსეთ გაზეთში განცხადებები,რეკლამები, მილოცვები. ოჯახის სამგლოვიარო განცხადებები,მილოცვა- ჩვეულებრივი შრიფტით - ერთი ასო 5 თეთრი, სქელი შრიფტით - 7 თეთრი, პირველ გვერდზე - ორმაგი ფასი, სურათიანი განცხადებები: სამგლოვიარო - 15 ლარი,მილოცვა - 10 ლარი, არაპოლიტიკური რეკლამა: მესამე გვერდზე- მთლიანი გვ. (1000სმ2)-150 ლარი,ნახევარი (500 სმ2) - 75 ლარი;მეოთხედი (250სმ2)-37.50 ლარი; მეხუთე გვერდზე: მთლიანი გვ. -130 ლარი; ნახევარი - 65 ლარი; მეოთხედი 32.50 ლარი. პირველ გვერდზე რეკლამა ხუთჯერ ძვირია, ვიდრე მესამე გვერდზე,ბოლოზე- სამჯერ ძვირი ვიდრე მესამე გვერდზე. პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია. მრავალჯერად რეკლამებზე და ხელმოწერებზე გათვალისწინებულია ფასდაკლება. გაზეთის გამოწერის მსურველებმა მიმართეთ სამეგრელოს რეგიონალური გამოცემის ოფისს. ქ. ფოთი, წმ. ნინოს ქ.3/ 2 ტელ: 0(493) 22-40-50; 5(99) 34 14 17,

მთავარი თემა სამეგრელოში თქვენი პრობლემების კვალდაკვალ


Ⓡ ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.